სახალხო გაზეთი

№ 901 ხუთშაბათი, 23 მაისი 1913 წ. № 901

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

შემდეგი №-რი გამოვა შაბათს, 25 მაისს.

ზუბალაშვილების წარმოდგ. მმართ. წრის სცენის მოყვარენი გულითადის მწუხარებით იუწყებიან, რომ 20-ს მაისს გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი ამხანაგი

ალექსანდრე ბიაშვილი.

ცხედარს გამოასვენებენ დღეს, 23 მაისს, (კოჩუბეევის ქუჩა № 4, სახლი გედევანიშვილისა), წმ. ნიკოლოოზის ეკლესიაში, დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. 1219

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ № 795.

სამშაბათს, 28 მაისს, 1913 წ.

ზაქ. პ. ფალიაშვილი გამართავს

ქართულ კონცერტს

მ. ა. კოლოტოვისა და ივ. პ. სარაჯიშვილის მონაწილეობით.

შესრულებული იქნება: 1) მ. მ. იპპოლიტ ივანოვის ,,სიუტა ივერია“ დიდი სიმფონიური ორკესტრისათვის ნაწარმოები. 2) ზაქ. პ. ფალიაშვილის ახალი ქართული ოპერიდან **,,აბესალომ და ეთერი''** პირველი სურათი და მესამე მოქმედება, — აბესალომის როლს შეასრულებს **ივ. სარაჯიშვილი.** 3) ა) ქართული სახალხო სიმღერები ხოროსა და ორკესტრისათვის და სოლო შემუშავებული ზ. ფალიაშვილის მიერ და ბ. ოპერა „აბესალომ და ეთერიდან'' ცალკე ნომრები.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი კოლოტოვისა, პრესინსკისა, კოვალენსკისა, ბ-ნნი ივ. სარაჯიშვილი, ინაშვილი, ლორთქიფანიძე, პეტროსიანი, ქართული ფილარმონიულ საზოგადოების გაძლიერებული გუნდი და ახალი კლუბის სიმფონიური ორკესტრი ზაქ. პ. ფალიაშვილის ლოტბარობით. რეჟისორი **კონსტ. ანდრონიკაშვილი.** დასაწყისი საღამოს სრულ $8^1/_2$ საათზედ. დაწვრილებით პროგრამმაში. ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ბილეთები იყიდება თეატრის კასსაში. 1207

ახალი კლუბი

(საზაფხულო თეატრი)

დღეს, 23 მაისს, ქართულ დრამ. და ის მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება:

I) **,,სიკვდილი ნაპოლეონისა'',** დრამა სურ, 1 მოქმედებ.

II) **„თამუნის ბრალია“,** მხიარული ვოდევ. 1 მოქმედებად.

მონაწილეობენ ქ-ნი: ქიქოძისა და ბ ნნი: კ. მესხი, ვ. გუნია, დ. მგალობლიშვილი, მ. იშხნელი, ნ. ციციშვილი და ზ. ბერიშვილი. წარმოდგენების შემდეგ **ცეკვ. დაუკრავს სამხედრო ორკესტრი.** თუ ცუდი ამინდი დადგა, წარმოდგენა საზამთრო თეატრში გაიმართება.

დასაწყ. საღ. 9 ს. 1162

ახალი კლუბი

საზაფხულო თეატრი

შაბათს, 25 მაისს, 1913 წ. გაიმართება პირველი სიმფონიური

კონცერტი

ვ. ი. ზელიონის ლოტბარობით და პიანისტის **ლეონ პიშნოვის** მონაწილეობით:

პროგრამა: კალინნიკოვი—სიმფონი g. moll, ჩაიკოვსკი—კონცერტი B moll ფორტეპიანოსთვის ორკესტრით, ლისტი—Les Prëludes და სხვა.

თუ ცუდი ამინდი იქმნა სიმფონიური კონცერტი გაიმართება საზამთრო თეატრში. 1162 დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

კვირას, დილით, 26 მაისს, 1913 წ. ახლად დაარ ებული

„ტფ. პირველ ქართველ მუშათა მომღერალ-მგალობელთა გუნდი“

მიხეილ კავსაძის ლოტბარობით ჰმართავს 3 განყოფილებად

სახალხო კონცერტს

(გუნდის ფონდის გასაძლიერებლად).

მუშათა გუნდი 40 კაცისაგან შედგარი, ჩერქეზულად გამოწყობილი, შეასრულებს ეროვნულ სიმღერებს, აგრეთვე შეასრულებს ,,**რაჭულ''** სიმღერებსაც. ბოლოს ,,**ქონა** და ,,**ფერხული''.** კონცერტის წინად **მიხეილ კავსაძე** წაიკითხავს თავის **მოხსენებას:** **„ქართული მუსიკა (სიმღერა-გალობა) და მისი განვითარება“.**

დასაწყ. 12-ნახ. ს. ადგილების ფასი 5—50 კ. დაწვრილებით ფიშებში და პროგრამებში.

295 გამგენი **ირაკლი ჟორდანია,** **ნიკ. ჯაფარიშვილი.**

ექ. პ. დ. ღამბაშიძის

სანატორიუმი

და საზაფხულო სამყოფი

პატარა-ცემი

გაიხსნება 15 თიბათვეს—31 მარიამობისთვემდე.

მისამართი ფოსტით: ტფილისი, ექ. პ. დ. ღამბაშიძეს. 299

ქარხნის მარკა

კონიაკი და ლიკორი

ს. ს. შამრიარსპისა

ტფილ სი ელისაბედის ქუჩა № 166. 1570

ბრიუსელის გამოფენაზე 1901 წ. GRAND PRIX.

შპალიერის (ОБОИ) ქარხანა

ძმ. ტარნოპოლევისა.

განყოფილება იმყოფება გოლ. პროსპ., № 21, ტელ. № 355

მიღებული გვაქვს ძვირფასი საჩუქრები.

იყიდება რუსეთის ყველა ქალაქებში. ფასი ყველა (სრული ზომის $11^1/_4$ არშ.) შპალიერისა, საფაბრიკოა 8 კ. ვიდრე 6 მ. თოფი. ნიმუშები დაეთმობათ უფასოდ, როგორც ქალაქებში, ისე ქალაქ გარედ მცხოვრებთ.

ოქროს მედალი ოდესის გამოფენაზე 1910 წ. 1137

ოქროს მედალი რომის გამოფენაზე 1910 წ.

ოქროს მედალი ეკატერინოსლავისა 1910 წ.

გამოსულია და იყიდება

ნ. შიუკაშვილის

პიესა **,,მემოგრობა'',** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

კვირას, 26 მაისს, ახალი კლუბის ბაღში, მოეწყობა სეირნობა

ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ.

სეირნობის დროს გაიმართება შემდეგი გასართობები: სინემატოგრაფი, ამერიკული ბაზარი, პტიშვო, ბედნიერების კლიტე, ტომბო, დაუშრეტელი ყანწი, ოინბაზი, კონფეტტი, ყვავილები, ამურის სიცელქე, დედოფალა, რებუსი

ბალში დაუკრავს სამხედრო მუსიკა და სიმებიანი ორკესტრი.

დასაწყისი ნაშუადღევის 4 საათზე. 1201

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 191

ექიმი ე. ი. მინასიანცი

შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ჰლექ. და დამპალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. **იღებს** დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

დოქტორი მედიცინისა

გ. ა. ახვერდოვი,

პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულისა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 12—1 ს., საღ. 6—8 ს. **ხემიონოვის ქ.,** № 18, (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—ხემიონ. ქ., № 16. 1159

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

სამკურნალო

სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად, ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

ასპისოვი. ყურის, ცხვირის და ყელის ავადმ., ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

არღუთინსკი, ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., $10—11^1/_2$ ს.

ა. ხუდობაშევი. ბავშვ. შინაგანი ავადმ., ყოველ დღე 3—4 ს.

ბოჟოვსკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., 4—5 ს.

ვესელოვზოროვი. სადოსტაქრო ყოველ დღე 3—4 საათ.

ვორობ..ოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. ყოველ დღე 2 3 ს.

გ. ნ. გეინაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

ზალდოევი. კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

ერმოლაევი —ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1—2 ს.

ექ. ქალ. იოსელიანი ქალური სნეულ. ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

კალამკაროვი. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

ლიმონი. კბილ. ექიმი. ყ.-დღე 11—1 ს.

ხაიდაროვი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

ნოვიცკი. ქალური და ს.ჭების ავადმ. ყოვ.-დღე 1—2 ს.

ტ. ი. რუდენკო. შინაგან სნეულ. კონსულტანტი. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

ა. ა. ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

ჩუდნოვსკი. ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა: $11^1/_2—12^1/_2$ საათ.

შამაში, სადოსტაქრო; ყ.-დღ., $1^1/_2$ $2^1/_2$ ს.

სათვალეების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserman“-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12—1. ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე $11^1/_2—12^1/_2$. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და ს. მშ. ბ სნეულებანი	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. **სულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე 2—1.
ბავშვთა სნეულბ	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. $1—1^1/$ **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე $12^1/_2—1$. **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**გედევანიშვილი. მ. ა.** შაბათობით $10^1/_2—11$. **ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12 **ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2
ყელ. ყურის ა ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე $12^1/_2—1^1/_2$. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე $1^1/_2—2$.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. $2—2^1/_2$.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე $11^1/_2—12^1/_2$.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, **,,606''** და **,,914'' წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

წამლობა ჭლექისა, იღებს შინაგან სნე. ჭლექთა და გულით ავადმყ. წამლობა **ტუბერკულინით, რადიის** პრეპარატებით და **პნევმოტორაქსით.** იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 ს. ადრესი: **ხოლოდნაკა,** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხე).

ტელეფ. № 7—93. 97

დილის 9—10 ს. **ღარიბების** მიღება უფასოა.

ექიმი შ. ა. მიქელაძე.

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებათ** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 $6^1/_2$ საათ. კარ ოის ქ., № 6.

ექიმი ქუთაისში **ვ. თ. ტყეშელაშვილი.**

ათ აპრილიდან ღებულობს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან შესახვევში. 1130

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით** იკვლ. ათაშანგ. შოწამლ სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—$5^1/_2$ ს. **ელიზაბედ. ქ** № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო კანტორის პირდაპირ. 102

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან- ავადმყ $9^1/_2$ ს. 0 ს.

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა სიფილ., კანისა და ვენ რ. $11—1^1/_2$ ს

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ სნეულ $11—1^1/_2$ ს.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით $11—11^1/_2$ ს.

ვორობიევი. შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ივ. გომართელი. ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა ,,606''-ით 1053

გამოვიდა გასასყიდად

ნოტები,

მუსიკისა, რომელიც დაუკრეს **ტურგენევის** „აზნაურთა ოჯახი“-ს წარმოდგენის დროს. მუსიკა შეთხზულია ქ-ნ სერდაკოვსკი-მესხიშვილის მიერ. ნოტები იყიდება **ბ. კერერის** მუსიკალურ მაღაზიაში, გოლოვინის პროსპექტზე 302

ქართული პრესა

ქართული სასულიერო გაზეთი „შინაური საქმეები“ (№ 16-17) თავის მხრით შემდეგსა სწერს ქართულ ეკლესიის შესახებ ახალ ამბებზე, რომელთაც ამას წინად მთელი ჩვენი პრესსა ალაპარაკეს:

„ქართველი სამღვდელოება მოთმინებით უცდიდა იმ დროს, როცა საკითხი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ, ხელმწიფის ბრძანებისამებრ წარსდგებოდა სრულიად რუსეთის საეკლესიო კრებაზე. სამღვდელოებამ მეფის ბრძანება იმ აზრით გაიგო, რომ მის უდიდებულესობას შესაძლებლად მიაჩნია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის აღდგენა და ამაში არავითარ პოლიტიკურ საშიშროებას არ ხედავს რუსეთის მთლიანობისათვის. დღეს, როგორც ყოველფრით ეტყობა, რუსეთის იერარქია არც კი აპირებს ამ საკითხის წამოყენებას საეკლესიო კრებაზე და უნდა საქმე შინაურულად მიაფუჩეჩოს, მაგრამ ავიწყდება, რომ საეკლესიო კანონები არ არის ისეთი ქოთანი, რომელსაც ყურს იქით გამობამ საითაც გინდა. იგი უცვლელია და უკვდავი, და აი სწორედ ამ საეკლესიო კანონებში ნათლადაა გარკვეული, რომ კერძო ეკლესიას ვერავინ მოუსპობს ავტოკეფალობას, თუ კი ერთხელ იგი ამით სარგებლობდა. და თუ რომელიმე ეკლესიას არ სურს მართლმადიდებლობას გადუდგეს, ეს კანონიც მტკიცეთ უნდა დაიცვას, როგორც მსოფლიო ეკლესიის დადგენილება სულიწმიდის ჩაგონებით და ზეგავლენით. ამის მიხედვით ხალხის სულ მცირე ნაწილსაც, თუნდა მარტო სამღვდელოებასაც რომ სურდეს თავის ეკლესიის ავტოკეფალობით სარგებლობა, ვერავინ დაუშლის. დღეს მაინც, როცა ჩვენმა პესამ ხმა ამოიღო, აღარავის უფლება არა აქვს სთქვას, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის აღდგენა მარტოოდენ სამღვდელოების სურვილია. არა, ეს სურვილია ყველა შეგნებული მორწმუნე ქართველის სწორედ ისე, როგორც თავის დროზე რუსეთის ეკლესიის ავტოკეფალობის მოპოვება სურვილი იყო მეფისა, სამღვდელოებისა და შეგნებული ერისკაცებისა და არა მთელი რუსეთის მდაბალი ხალხისა, რომელსაც ავტოკეფალობის მნიშვნელობა სრულიადაც არ ესმოდა“.

სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშათა პეტერ. სააგენტო)

21 მაისის სხდომა.

თავ. ვოლკონსკი თავმჯდომარეობს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის ცალ-ცალკე მუხლს იხილავენ.

განხილვაში მონაწილეობენ სათათბიროს წევრნი.

რუსანოვი. შორეულ-აღმოსავლეთის განვითარების მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზი მთავრობის პოლიტიკის პროგრამის გამოურკვევლობაა.

მღ. ფილონენკო სურვილს გამოსთქვამს გუბერნიის სასტატისტიკო კომიტეტთა მდივნებს ჯამაგირი მიემატოს და საზოგადოდ გაადიდონ ხარჯი ამ კომიტეტების შესანახად.

გოდნევი სათათბიროს მოუწოდებს ხელი შეუწყონ სამართლიანობის და კანონიერების განმტკიცებას ხალხში; საჩქაროდ შეიმუშავონ საგანგებო წესებთა კანონი და მოსპონ აწინდელი მდგომარეობა, როგორც უკანონო.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ზოლოტარევი შუამდგომლობს სათათბიროს წინაშე გაიღოს სამინისტროს მიერ ნავარაუდევი ფული ადგილობრივ დაწესებულებათა შენობების დასაქირავებლად და შესანახად, აგრეთვე საადმინისტრაციო ხარჯთათვისაც.

სათათბირომ კენჭის ყრით დაამტკიცა საბიუჯეტო კომისიის მიერ ნავარაუდევი ფული.

კამათს იწვევს ხარჯთაღრიცხვის მუხლი „ხარჯი მიწათმოწყობისთვის“; სამისოდ უწყებამ 468.616 მანეთი ივარაუდა. კომისიამ შეამცირა 60.000 მანეთით.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ლიკოშინი აცხადებს, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება გლეხთა მიწათმფლობელობის პროექტები: ჩრდილო და სამხრეთ-დასავლეთ გუბერნიებში სერვიტუტების გაუქმების პროექტია შედგენილი; იგი ახლოხანს წარედგინება მინისტრთა საბჭოს და შემდეგ—სათათბიროს. შემუშავებულია პრივისლიანისა და ხოლმის გუბერნიებში სერვიტუტის გაუქმების პროექტი, რომელიც სათათბიროს ახლო ხანს წარედგინება; შემუშავებულია საგლეხო მიწათმფლობელობის მემკვიდრეობის წესრიგი; მის განსახილველად მოწვეულია საუწყებათაშორისო თათბირი. მუშავდება აღთქმითი მამულების დაწესების პროექტი; დაწყებულია უკვე მუშაობა პრივისლიანის და ხოლმის გუბერნიებში მიწათმოწყობის დებულებათა შემოსაღებად. მინისტრის ამხანაგი წინასწარვე აცხადებს: ეს საქმე ფრიად ძნელი და რთულია და დიდ დროსაც მოითხოვს.

ეროვნული

განხილული მუხლი საბიუჯეტო კომისიის ფორმულით მიიღეს.

განსახილველია პარაგრაფი, „შენობათა აგება და შეკეთება“

მინისტრის ამხანაგი ზოლოტარევი. სთხოვს სათათბიროს უკუაგდოს კომისიის აზრი 325.000 მანეთით შემცირების შესახებ, რადგანაც ფული ფრიად საჭიროა მუშაობის დასაწყებად.

მომხსენებელი ფირსოვი პირველი კომისიის აზრით საჭიროა უკუავგდოთ კრედიტი, რადგანაც გეგმა განზრახულ მუშაობისა წარმოდგენილი არ არის.

სათათბირომ კომისიის ვარაუდით მიიღო მუხლი.

შემდეგ მუხლების განხილვის დროს ილაპარაკეს **გოლდმანმა** და **ტევკელოვმა** პირველმა სურვილი გამოსთქვა, სამინისტრომ შეიმუშაოს კურლიანდიის სამრევლო დაწესებულებათა რეფორმების პროექტი; მეორემ—მოაწესრიგოს მუსულმანთა სასულიერო დაწესებულებანი.

კამათს იწვევს ხარჯთაღრიცხვის მუხლი—„ხარჯი ახალგაზრდა ჯარისკაცთა გასაწვევად სამსახურამდეს“. კომისია წინადადებას იძლევა შეამცირონ ხარჯი 600.000 მანეთით.

ნოვიცკი. ოქტომბრისტები სცდილობენ მთავრობას მოუსპონ საჭირო სახსარი. დეე ადგილობრივ წვრილ მოხელეთ იცოდნენ, რომ ისინი ტანჯულნი და გვემულნი არიან ოქტომბრისტთა წყალობით.

ანტონოვი იცავს კომისიის წინადადებას, რამაც ტაში გამოიწვია ცენტრისა და მემარცხენეთა.

ვიშნევსკი პირველი უპასუხებს ანტონოვსა და დასძენს, რომ მან ნოვიცკის ბრალდება გაამართლაო.

კამათში მონაწილეობა მიიღეს მინისტრის ამხანაგმა **ლიკოშინმა,** მომხსენებელმა **ფირსოვმა** და **ოპოჩინინმა.** სათათბირომ კომისიის მიერ ნავარაუდევი თანხა დაამტკიცა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვა საერთოდ დასრულდა.

სპეციალურ თანხათა თაობაზე ლაპარაკობს **კინიორსკი.** იგი ეხება პოლონეთში გზატკეცილების საკითხს. მთავრობა ამ საქმეში ისეთ გულ-გრილობას იჩენს, რომ მცხვრებთა შორის უიმედობის და უკმაყოფილების გრძნობასა ჰბადებსო..

სათათბირო ფორმულათა კენჭის ყრაზე გადადის.

ძიუბინსკიმ და **ჩხეიძემ** შრომის ჯგუფისა და სოც.-დემოკრატების სახელით განაცხადეს, რომ ფორმულების კენჭის ყრაში მონაწილეობას არ მიიღებენ, რადგანაც მათ წინადვე გამოსთქვეს თვის შეხედულება საერთოდ ხარჯთ-აღრიცხვაზე.

ლვოვი მეორე. ცენტრის ჯგუფმა შემოიტანა ფორმულა, რომლითაც აღიარებულია საჭიროება 17 ოქტომბრის მანიფესტით აღთქმულ რეფორმათა განხორციელება. დროა მთავრობა შეუდგეს ფართო რეფორმათა გაყვანას ევროპის უფლებრივ დებულებათა თანახმად (სიცილი მარჯვნით). მიუხედავად ცენტრის ჯგუფის კონსერვატორობისა, მაინც საჭიროდ მიაჩნიათ თანდათან განხორციელდეს რეფორმები, რომელიც განსვენებულმა სტოლიპინმა შემოფარგლა. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი მდგომარეობა დამღუპველი იქნება რუსეთისთვისაც და საზოგადოებრივ მშვიდობიანობისთვისაც ფრიად დიდ ხიფათს წარმოადგენს. მოლაპარაკე მოაგონებს ბისმარკის სიტყვებს: რევოლიუცია იქმნება არა რევოლიუციონერთა ჭკუით, არამედ უდროოდ მიცემულ რეფორმებით, რომელსაც ერი და მხარე ჰსაჭიროებს (ტაში ცენტრსა და მარცხნით).

ერთხმად მიიღეს კომისიის ფორმულა, მოახდინოს მთავრობამ მცხოვრებთა აღწერა არა უგვიანეს 1915 წლისა. მიიღეს გოლდმანის ფორმულა. კითხულობენ ოქტომბრისტთა ფორმულას: 1. შინაგან საქმეთა სამინისტრო მშვიდობიანობის დამყარების შემდეგ იცავს კვლავ საგანგებო წესებს, რაც მცხოვრებთა სამართლიან უკმაყოფილებას და აღშფოთებას იწვევს; 2. საჭიროა, რომ ყოველივე სახელმწიფოში მთავრობა თავის სიძლიერეს მხოლოდ კანონის ძალაზე ამყარებდეს; იგი იცავს თავის უკანონო მოქმედებით თვითნებობას, გვერდს უხვევს 17 ოქტომბრის მანიფესტთა განხორციელებას და რუსეთში უფლებრივობის განმტკიცებას. სამინისტრო ამით კანონისადმი პატივს უკარგავს მცხოვრებთ და აძლიერებს საოპოზიციო მიმდინარეობას; 3. ადგილობრივ თვითმმართველობათა რეფორმა მას განხორციელებაში არ მოჰყავს, ამით მცხოვრებლებთა ეკონომიურ და კულტურულ განვითარებას ხელს უშლის; 4. ადმინისტრაცია, ჰსარგებლობს რა არსებულ კანონებით სხვა ეროვნებათა მიმართ, რუს მოქალაქეთ აწაწილებს და რუსეთის ძლევამოსილებას ასუსტებს. სათათბირო, იღებს-რა ყველა ზემოხსენებულს მხედველობაში, მოითხოვს მთავრობისაგან ფართო რეფორმების საჩქაროდ განხორციელებას და მორიგ საკითხების განხილვაზე გადადის.

ზამისლოვსკი. მემარჯვენეთათვის პრინციპიალურად შეუწყნარებელია ფორმულა. რუსეთის უმრავლესობას არც კი აინტერესებს, არსებობს თუ არა ამა და ამ ალაგას გაძლიერებული წესი; მაშასადამე საერთო უკმაყოფილებაზე ლაპარაკი მეტია. რევოლუციის შემდეგ დარჩა მხოლოდ —ყაჩაღობა და ხულიგანობა. არსებული კანონები უძლურია ებრძოლოს ამ მოვლენას. სათათბირო იჭერს განსაკუთრებულ წესთა რეფორმას, და ამით მთავრობას ბრძოლაში უიარაღოდ სტოვებს. ზამისლოვსკი იცავს მთავრობას ოქტომბრისტთა გალაშქრებისაგან და სცდილობს დაამტკიცოს, რომ მთავრობა პირწმინდად ასრულებს 17 ოქტომბრის მანიფესტით აღთქმულ რეფორმებსო.

კალინინი, როგორც გლეხი, პროტესტს აცხადებს ზამისლოვსკის სიტყვების წინააღმდეგ.

ოქტომბრისტების ფორმულა მიიღეს 160 ხმით წინააღმდეგ 109-სა, 17-მა თავი შეიკავა. კარში გასვლით ფორმულა მიიღეს 164 ხმით წინააღმდეგ 117-სა, 23-მა თავი შეიკავა.

გროდზიცკი მოხსენებას ჰკითხულობს საფოსტო-სატელეგრაფო მთავარ სამმართველოს ხარჯთ-აღრიცხვაზე. უწყება ითხოვს 79,865,440 მან. კომისიამ უცვლელად დასტოვა. კომისიამ სასურველად სცნო საჩქაროდ აღიძრას კანონ-პროექტი, რათა ყოველნაირი 6% ნორმა ხარჯთ-აღრიცხვის მომატებისა გადიდდეს 10%-დის. კომისიამ სურვილი გამოსთქვა, გააფართოვოს უწყებამ საფოსტო მოქმედება და მოაწესრიგოს მართვა-გამგეობა.

ლიალიავსკი, გლადიში და **გრ. კაპნისტი მეორე** აღნიშნავენ, რომ საფოსტო და სატელეგრაფო საქმე ვერ არის თავის დონეზე დაყენებული, მცხოვრებთა მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებსო. აღნიშნეს აგრეთვე ფოსტის მოხელეთა მძიმე მდგომარეობა; უწყების მოქმედებაში არ სჩანს შემოქმედებითი მუშაობა. კადეტების ფორმულით საჭიროდ არის აღიარებული საფოსტო დაწესებულებათა გამრავლება, თანახმად მცხოვრებთა მოთხოვნილებისა.

შემდეგი სხდომა 22 მაისისთვის არის დანიშნული.

სახელმწიფო საბჭო

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

21 მაისის სხდომა.

აკიმოვი თავმჯდომარეობს.

კერძო სასწავლებელთა კანონპროექტის მუხლობრივი განხილვა გრძელდება. ცხარე კამათი გამოიწვია მე-7 მუხლმა, რომელიც ანიჭებს კერძო სასწავლებელთა დამაარსებელთ უფლებას ზოგიერთი შეზღუდვით, თვითვე ამოირჩიონ სასწავლო ენა.

სტიშინსკის და **დურნოვოს** შესწორება შეაქვთ: ისინი მოითხოვენ, რომ დაბალ სასწავლებლებში აუცილებლად რუსულად ისწავლებოდეს საგნები, საშუალო სასწავლებლებში კი მინისტრის ნებართვით შეიძლება არა რუსულად ისწავლებოდეს საგნებიო.

დეიტრიხი იცავს სტიშინსკის შესწორებას. სტიშინსკის შესწორების წინააღმდეგ ილაპარაკეს **გაიშტოვიჩმა, გრიმმა, ზუბაშევმა** და **ბოგალეიმ.** ისინი იცავენ კომისიის რედაქციას.

ბოგალეი წინააღმდეგია, რომ ბელორუსთა და უკრაინელთა სკოლებში სწავლება რუსულად იყოს. ეს იქნება შეზღუდვა და შევიწროვება იმ ენებისა, რომელნიც რუსულ ენის სულის ჩამდგმელნი არიან. სტიშინსკის შესწორების მიღებას არ მოითხოვს არც სახელმწიფოს ინტერესები და არც უკრაინელთა ინტერესებიო.

ბარ. პილარ-ფონ-პილხაუ იცავს კომისიის რედაქციას და შეაქვს შესწორება, ასეთივე უფლება მიეცეს კერძო სასწავლებლის დამაარსებელ წოდებას.

გრ. ვიტტე. საერთო მოსაზრებანი და ისტორიის მაგალითები გვაჩვენებს, რომ ყოველი სახელმწიფო, რომელსაც კი ჰსურს წარმატება და აყვავება, უნდა სცდილობდეს შეჰბოჭოს იმპერიის შემადგენელი ელემენტები: თუ ამას არ მოიმოქმედებს სახელმწიფო, იგი დაიღუპება. ამის მაგალითს ბალკანეთში ვხედავთ. რუსეთმაც უნდა შეჰბოჭოს თვის იმპერიის შემადგენელი ელემენტები. შებოჭვის საშუალებანი ეკონომიურია, —მაგალითად, ერთნაირი ფული, ეკონომიური და სადამოჟნო კავშირები, სავალდებულო ხმარება რუსული ენისა სახელმწიფო დაწესებულებებში, საერთო სამხედრო ბეგარა და დასასრულს, სახელმწიფო სკოლებში რუსული ენით აუცილებელი სწავლება. უნდა განვსაზღვროთ სახაზინო და კერძო სასწავლებლები. კერძო სასწავლებელნი არაფერს ითხოვენ ხაზინისაგან. იმათ თავისუფლება უნდა მიენიჭოს. არც ერთ კულტუროსან სახელმწიფოში ამგვარი საკითხი არ არსებობს: კერძო სასწავლებელს ყველგან მინიჭებული აქვს უფლება ასწავლოს თავისვე ამორჩეული ენით; ამ გზით თანდათანობით უნდა ვიაროთ. საჭიროა ის შეზღუდვანი მივიღოთ ერობათა და ქალაქებისა, რომელიც კომისიის რედაქციაში არის აღნიშნული.

საბჭომ მიიღო მეშვიდე მუხლი კომისიის რედაქციით და პილარ-ფონ-პილხაუს შესწორებით. სტიშინსკის და დურნოვოს შესწორება უარჰყვეს.

გრ. ველეპოლსკი სასკოლო საქმე პოლონეთში ფრიად ცუდ მდგომარეობაში იმყოფება. მოლაპარაკეს შესწორება შეაქვს, უფლება მიენიჭონ პოლონეთის ქალაქებს მათ მიერ დაარსებულ კერძო სასწავლებლებში ყველა საგანი პოლონურის ენით ისწავლებოდეს, გარდა მართლმადიდებელთ სამღვთო-სჯულისა, რუსული ენისა, სიტყვიერებისა და რუსეთის გეოგრაფია-ისტორიისა.

კომისიის რედაქცით მიიღეს მერვე და მეცხრე მუხლი, რომელიც დამაარსებელთ ანიჭებს საგნების ამორჩევის უფლებას და მეათე მუხლი, რომლითაც განსაზღვრულია ვის არ შეუძლიან იყოს კერძო სასწავლებლის დამაარსებელი.

შემდეგი სხდომა 22 მაისისთვისაა დანიშნული.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ქუთაისის ბანკის განყოფილება ტფილისში.** მოგვივიდა ანგარიში ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკის ტფილისის განყოფილების მოქმედებისა 1912 წლის განმავლობაში. როგორც ამ ანგარიშიდან სჩანს, განყოფილების საქმეები თან და თან იზრდება და წარმატებაში მიდის. საანგარიშო წელს განყოფილებას გაუცია აღმოსავლეთ საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში სულ 118 სესხი 1.032.400 მანათისა, ესე იგი, თითქმის ნახევარი იმ სესხისა, რაც სულ გაუცია შარშან ქუთაისის ბანკს (2.136.000 მანათისა). საანგარიშო წელს ბანკის განყოფილებას გაუყიდნია 29 დარჩენილი მამული, ახლა რჩება მხოლოდ 18 მამული, რომლებზედაც ნახევარი მილიონი ფული ირიცხება; ეს მამულები იჯარითაა გაცემული.

◆ **პოლიტეხნიკუმი.** საუწყებათაშორისო კომისიაში წევრებად დაინიშნენ კიდევ შემდეგი პირნი: ტფ. სამოსამართლო პალატის დეპარტამენტის თავჯდომარე ბ-ნი ლემერმანი, მეფის მოადგილის კანცელარიის ვიცე-დირექტორი ნიკოლსკი, ქალთა უმაღლეს კურსების დირექტორი პროფ. ბლაგოვიდოვი და ბაქოს ქალაქის საბჭოს ხმოსანი ისაი ბეი გაჯინსკი.

◆ **კავკასიის სამთო-მადნო სამმართველოს** ცნობით 1912 წლის განმავლობაში ბათომის ნავთსადგურიდან საზღვარ-გარედ შავი ქვა გაუტანიათ: ავსტრია ჰუნგრეთში—34,600 ფუთი, ბელგიაში—56,259 ფუთი, გერმანიაში—542,651 ფუთი, ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში—248,110 ფუთი და საფრანგეთში—114,295 ფუთი; სულ 995,915 ფუთი, ღირებული 149,751 მან. ამავ ხნის განმავლობაში ფოთის ნავთსადგურით გაუტანიათ: ბელგიაში—1.627,752 ფუთი, დიდ ბრიტანიაში—790,910 ფუთი და ჰოლანდიაში—1.270,009 ფუთი, სულ 3,688,671 ფუთი, ღირებული 627,074 მან.

◆ ამ დღეებში გამოვა ახალი წიგნი „იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად“, გამოცემა ჟურნალ „განათლებისა“. წიგნი მოზდილ ფორმატისაა, შეიცავს განსვენებულის პედაგოგის ბიოგრაფიას, სიტყვებს მის დასაფლავებაზე წარმოთქმულს, ჟურნალ-გაზეთების წერილებს და სხ. წიგნში 330 გვერდზე მეტია და მრავალი სურათი. გარეკანზე მოთავსებულია მხატვარი ქალის ბარათაშვილის ნახატი.

◆ **უბედური შემთხვევა.** 18 მაისს ბათომიდან მომავალ გაქანებულ მატარებლის ფანჯრიდან გადმოვარდა სამის წლის ბავშვი ცქიტიშვილისა. ბავშვი ნერგს მოედო. ძალიან საშიშ მდგომარეობაში იყო, რადგანაც ქარის შებერვით იგი ადვილად შეიძლებოდა მტკვარში გადავარდნილიყო. კონდუქტორმა ქორქიამ გააჩერა მატარებელი, რომელიც თითქმის ერთი ვერსით დაშორდა იმ ადგილს, სადაც ბავშვი გადავარდა. ელდა ნაცემი დედა გაექანა ბავშვისკენ, მაგრამ ფეხთ მოეკვეთა და შუა გზაზე წაიქცა. ქორქიამ აიყვანა ბავშვი, რომელიც, საბედნიეროდ, სრულიად უვნებელი დარჩენილა, მხოლოდ შუბლი ჰქონია ცოტა გაფხაჭნილი.

◆ გუშინ ტფილისში დაბრუნდნენ **ყარაიაზის საცდელ მინდვრის** დასათვალიერებლად წასულნი: მიწათმოქმედებისა და მიწათ-მოწყობის სამინისტროს კავკასიის რწმუნებული კ. ი. მაშკოვსკი, სასოფლო მეურნეობის ინსპექტორი ს. ნ. ტიმოფეევი, მებამბეობის უფროსი სპეციალისტი ნ. პ. ტარატინოვი, საბოტანიკო ბაღის დირექტორი ა. ხ. როლოვი და სხვანი. დაბრუნებულთ დაწვრილებით დაუთვალიერებიათ მინდორი და მოსწონებიათ, მხოლოდ საჭიროდ უცვნიათ მისი გაფართოვება.

◆ **საბირჟო ცნობები.** 22 მაისს შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—85 მან. 60 კ., აძლევენ—85 მ. 30 კ., ტფ. სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა; აფასებენ—83 მან. 60 კ., აძლევენ—83 მ. 30 კ., და ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—80 მან. 75 კ., აძლევენ—79 მან. 70 კ.

◆ ქართულ წარმოდგენების მმართველმა წრემ თავისი დღე სახალხო სახლში 26 მაისისთვის მსახიობ ქალს **გონაკო ოოჯას** დაუთმო წარმოდგენისათვის.

◆ ქალაქის გამგეობამ დაადგინა, საკადეტო და სათეატრო მისახვევები ელექტრონით გაანათოს.

◆ **საინტერესო გამოფენა.** ქართულ გიმნაზიის შენობაში გაიხსნა სათავად-აზნაურო საქალებო სკოლის მოსწავლეთა ხატვისა და ხელსაქმის ნაწარმოებთა გამოფენა, რომელიც გასტანს 28 მაისამდე.

◆ **სარკინიგზო ტაძარი.** 25 მაისს საძირკველს ჩაჰყრიან სარკინიგზო ტაძრისას, რომელსაც აგებენ რკინის გზის სადგურის მახლობლად ბაღში

ცხოვრება და ხელოვნება

ჩვენი ახალგაზდა მწერლები

VI *)

ბ. ბ. შანშიაშვილი და გრიშაშვილი არა თუ არ ლალატობენ იმ სახელს, იმ თანაგრძნობას, რომელიც დაიმსახურეს საზოგადოებაში, წინააღმდეგ მათი სახელი თანდათან უფრო ფეხს იკიდებს ფართო თაყვანისმცემელთა წრეში, და თანდათან უფრო მეტ საბუთს გვაძლევენ მათ დასაფასებლად.

ყოვლად უეჭველია ის, რომ ახალგაზდა მგოსანთა შორის პირველ რიგში მარტო ეს ორნი დგანან და მომავლის ჩვენის პოეზიის მეთაურობა ჯერ-ჯერობით მათ ეკუთვნის. ამას ვერ შეარყევს ვერც „ღვარძლით აღვსილი შური“ და ვერც „წყევა, კრულვა“ მათი უკბილო მტრებისა.

მათ შეიტანეს პოეზიაში ახალი ელემენტები, გასაოცრად შეიმუშავეს ლექსის ტეხნიკა და იმ სიმშვენიერემდის მიიყვანეს, რომ ქართულის პოეზიის ჩვეულნიც კი განცვიფრებაში მოჰყავთ. ჩვენს ლირიკას თითქო წყვილ-წყვილა მგოსნები დაბედებოდეს: ამ შემთხვევაშიც ისეა და ეს ორი სახელი თითქმის განუყრელია მკითხველ საზოგადოებისათვის; მათი სახელის გარეშემო ხშირად ისმის ჩვეულებრივი კამათი ერთის სიღრმესა და მეორის სისუბუქის შესახებ.

ამასწინად გამოცემული მათ ლექსთა თაიგული [1]) პირველისავე სტრიქონიდან ახასიათებს ამ მგოსანთა მწერლობის შინაარსსა და მიმართულებას.

ბ. შანშიაშვილი სევდის პოეტია, ნაღვლიანი, ჩაფიქრებული ნაზის ტანჯვით აღვსილი. მისი სახე მარად სევდა მოცულია, მისი თვალი მოცრემლული, ბაგე მისი ნიადაგ კვნესისათვის არის გამზადებული, მისი ხელი მუდამ-ჟამს სამგლოვიაროდ მოწყობილ ქნარსა სცემს და იგი მისი ქნარი გულის მომწყვლელად მოსთქვამს.

ი. გრიშაშვილი ცქრიალაა და კისკისა, განა თუ ნაღველი და ვიში მასაც არ ეწვევა, მაგრამ საცრემლოდ გამზადებული თვალები, მყის ღრუბელს გადიყრიან და მზის სხივებს მოგვაშუქებენ; ვაისათვის გამზადებული ტუჩები მომჯადოებლად გაიღიმებიან, გლოვის სიმღერის შესაქმნელად მოწყობილნი სული უეცრად მომხიბვლელ, სიცოცხლითა და ბედნიერებით აღსავსე გალობას წარსთქვამს.

მაშინ როდესაც ა. შანშიაშვილი თუ იცინის, ეს სიცილი ცრემლითაა შეზავებული, სიხარული მისი ყოველთვის სევდით მოვარაყებულია მისი „ყვავილთა ბაღი“ ყოველთვის ნისლითაა დაბურვილი. გრიშაშვილის ნაღველი და ვაება ყოველთვის სამხიარულო ჩარჩოშია ჩასმული, მისი ჯოჯოხეთი მარადის „კოცნით დამდნარი სხივთა ლეჩაქით“ არის მორთული. ამ ორ მგოსნის პოეზიის დასაბამი, დასაწყისი, მათი პოეზიის სამეუფო სულ სხვა და სხვა არის.

ერთი გვეუბნება, რომ ის „სევდის ბაღშია აღზრდილი“, „სევდის ბაღში ლაღადებს“, „სინაზე და წრფელი გრძნობა“ თან დაყოლილი აქვს.

მეორე კი ნეტარებასა და სიხარულშია გაჩენილი. იგი

„ყვავილთ ტბაში დაბადებულა“,
„ჰაეროვან კოცნამ შობა,
კოცნამ მისცა ყოველივე“,
„მთის შიკრიკი, ცელქი სიო
მხიბლავ ზღაპარს „ეუბნება“,
„მზემ ააშრო მისი ცრემლი, ზე ასწურა,
ჰკოცნის, ჰკოცნის“
„კოცნის სუნთქვამ გამოზარდა...
კოცნამ მისცა ყოველივე
„კოცნამ შობა, კოცნა ჩაჰკლავს.“

ამგვარ მდგომარეობაში, ამნაირ სანეტარო პირობებში დაბადებული მგოსნის ცრემლებს, რასაკვირველია „მზე შეაშრობს“ და ამ ცრემლებს თვით მეფე ბუნებისა სატრფიალო საგნად გაიხდის.

„სევდის ბაღში“ დაბადებული და აღზრდილი მგოსანი ა. შანშიაშვილია „კოცნით დამდნარ სხივთა ლეჩაქში“ გაჩენილი კი ი. გრიშაშვილი არის.

მთელი მათის პოეზის დამახასიათებელი სწორედ ეს სხვა და სხვა გარემოებაა, რომელშიაც მათი მუზა დაიბადა.

ეს ორი ლექსი, რომლითაც იწყება მათი, სამწუხაროდ, ერთად ერთი ლექსთა კრებული, არა თუ მათის შემოქმედების სხვა და სხვანაირის წყაროს დამახასიათებელია, მთელის მათის პოეზიის მრწამსი გახლავსთ, მათის პოეზიის არსების, შინაარსის გამომხატველი.

შანშიაშვილი „სევდის ბაღში აღზრდილი“ მგოსანია, რომელსაც ცით მობერილი აქვს „სინაზე და წრფელი გრძნობა“, იგი იმ თავითვე ვარდყვავილმა „შეაჩვია ზენატრფიალს“ მას „უკვდავებამ ჩანგი მისცა, ლოცვის ჟამსა ასაჟღერად“ და ამგვარად შეიარაღებული პოეტი, „გუნდრუკს უკმევს ცის მშვენებას და **სრულ ყოფას ვნებით აღვსილს**“

შანშიაშვილის ენა რომანტიულ პოეტთა ენას მოგვაგონებს: შანშიაშვილი იმ მგოსნებს მოგვაგონებს, რომელნიც თავის გრძნობებს იმ სიმაღლეზედ აყენებდნენ, რომ სწამდათ: „მომაკვდავთა ენას არ ძალუძს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა“, ანა და მათი გრძნობები რაღაც საოცნებო, განსაკუთრებულ რამედ მიაჩნდათ: „ნუ თუ ამ სულის წადილსაც, ჰრქვა სიყვარული სხვათაებრო“ და „ჩემთა გრძნობათ შენდამი ვერ დაჰსდვან კაცთა სახელიო“. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ასეთის აზრის იყო პოეზიის შესახებ ჩვენის რომანტიულის ლირიზმის მეფე ბარათაშვილი.

ამით იმის თქმა სრულიადაც არ მინდა, რომ შანშიაშვილი წმინდა რომანტიკოსი იყოს. ეს შეუძლებელიც არის. შანშიაშვილი დაბადებულია და აღზრდილი ისეთ ატმოსფერაში, ლიტერატურის განვითარების იმ საფეხურზედ, როცა წმინდა რომანტიზმი დიდი ხანია მოთავებულია. ილიასა და აკაკის პოეზიამ ერთის მხრით და ვაჟა-სამ მეორე მხრით სრულიად ახალი ელემენტები შეიტანა ჩვენს სალირიკო ლიტერატურაში. მათ გავლენას შანშიაშვილი და ვერც სხვა მისი თანამედროვე მგოსნები გვერდს ვერ აუხვევდნენ. მის პოეზიაში მოთავსებულია ყველა ის ელემენტები, რომლებიც შეადგენენ ნიშანდობლივ თვისებას მეცხრამეტე საუკუნის ჩვენის მწერლობის მთავარ მიმართულებათა. შანშიაშვილის პოეზიაში უხვად არის გაბნეული რეალურ, რომანტიულ და სიმბოლიურ პოეზიის ელემენტები.

იგი ბაღშია დაბადებული, თუმცა კი სევდის ბაღში, მისი აღმზრდელი, მისი ზეშთამგონებელი ვარდზამბახია, რომელმაც „ცით მოჰბერა სინაზე და წრფელი გრძნობა“, ზენა-ტრფიალს იგი შეაჩვია „შროშანამ და გულწითელამ“, მას ფრთა შეასხა „დილის სიომ“, „შეათვისა სხივთა ციალს“ და აი იგი „წმინდა ქსელს აბამს პოეზიისას, თუმცა კი ოქროთი დაფერილს; იგი „ლაღადებს სევდის ბაღში“, მაგრამ არა თავის გასართობად, თავის გრძნობათა შესამსუბუქებლად და კაეშანის გასაქარვებლად, იგი „გამოძახილს სხვებს ასმენს“. ამგვარად ეს მგოსანი არასოდეს მიწას არა შორდება, იგი ბუნებას, სამყაროსთან განუწყვეტელის ძაფით არის დაკავშირებული, მისს განწყობილებას ჰქმნის ყოველივე მოვლენა მსოფლიოსი. თუ რამე აქვს „მიწიერსა“ „ზეციური“ ეს ისევ მიწის შვილთაგან ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით აქვს მინიჭებული და ჩაგონებული. ერთ წუთსაც იგი მიწას არ ივიწყებს და ვერ ივიწყებს, თუმცა „შეჩვეულია ზენა ტრფიალს“ და ერთ წუთსაც არ უფიქრია, რომ შესაძლებელი იყოს გალობა და ღაღადისი, რომ სხვას გამოძახილი არ გააგონოს, თუმცა მისთვის „ჩანგი უკვდავებას მიუცია“

ამ ლექსში იგი პანტეისტ—მგოსნად გვეცხადება, რომელიც მომჯადოებელის სიმებით არის გადაბმული ბუნებასთან და მის ნაწილებთან, „წყარო“ „ვარდ-ზამბახი“, „შროშანა და გულწითელა“ „დილის სიო“, „სხივთა ციალი“ „ცის მშვენება“ „სრულყოფა ვნებით აღვსილი“ აი მისი მუზის მშვენიერნი თანამგზავრნი, მისი მუზის წამხალისებელნი და აღმაფრთოვანებელნი. აქ თავმყრილია ყოველი დედა-ელემენტი ბუნებისა. შანშიაშვილი დედა-მიწის შვილია და სევდა ამ მიწისშვილისაგან განუყრელი, მისი „უკვდავების ჩანგი“ თითქმის მხოლოდ სევდის კილოზედ არის მომართული და ამით იგი ჩვენი მახლობელია, ჩვენი ღვიძლი ძმაა.

VII

ვიდრე გრიშაშვილის ლექსთა კონას გავარჩევდეთ მიუცილებელია თვალი გადავავლოთ იმ ჰაერს, იმ პირობებს, რომლითაც სუნთქავდა და იზრდებოდა ჩვენი ახალი პოეზია. ყოველთვის და ყველგან მწერალს ექმნება დაფასება მხოლოდ იმის მიხედვით, თუ რამდენად ძლიერია მისი პიროვნება და რამდენად შესძლებია აღებეჭდა ხელოვანს თავისი მადლით ცხებული ინდივიდუალური ნიჭი თავისს ნაწარმოებში. ეჭვს გარეშეა დროს, გარემოებას ერთგვარი გავლენა აქვს მწერალზედ, მაგრამ ეს გავლენა თავისებურად გადადუღდება ხოლმე მდიდარის პიროვნების არსებაში და შედეგი იმდენად უცნაური და მიუწდომელია, რომ ძალაუნებურად უნდა ვიფიქროთ: მწერლის ინდივიდუუმი ერთგვარი გამოუცნობელი X-ია, რომელიც ამ მიზეზთა შორის არის, ამ გავლენის ერთი შემოქმედია და მის ნაყოფს ასხვაფერებს. თქვენ ვერავითარის საშუალებით ვერ ახსნით მარტო დროისა და ეპოქის ზედ-გავლენის შემწეობით ვერცერთ დიდებულ ნაწარმოებს.

განა თუ მარტო ეპოქის ზედ-მოქმედებით აიხსნება რუსთველის დიდებული ნაწარმოები? განა თუ შოთას უკვდავი ქმნილება მარტო იმითია კარგი, რომ თამარის დროის ზნე-ჩვეულებას აღგვიწერს? სრულიად წინააღმდეგ. „ვეფხის-ტყაოსანში“ უკვდავია იგი, რაც სწორედ დროსა და გარემოებას გადასცილებია და მარადისობას უახლოვდება. მომხიბლავია დღემდის და წარმტაცი სულითა და გონებით, ხორცით მშვენიერი ავთანდილი. უკვდავებს დამამტკიცებელია ის მაღალი გრძნობა სიყვარულისა და მეგობრობისა, რომელიც აცისკროვნებს, კაშკაშ მთვარესავით დანათის ამ საუკუნო ძეგლს ქართველის ერის გენიოსობისას. და განა თუ „ვეფხის-ტყაოსანი“ სურათია ფოტოგრაფიული იმ დროისა? ამის დამტკიცება არავის არ შეუძლიან. რასაკვირველია ეპოქის კვალი სჩანს, მაგრამ ისე და იმდენად, როგორც და რანაირადაც ეს რუსთაველს მიაჩნდა

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 894.

[1]) ა. შანშიაშვილის „ბაღი სევდისა“ გამოცემა ნემსაძისა ტფილისი 1911 წ. ი. გრიშაშვილის „ოცნების კოცნა“ გამოცემა „სორაპნისა“ ტფილისი 1911 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომანოვთა გვარეულობის სამასის წლის მეფობის აღსანიშნავად. ტაძარს აგებენ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოსამსახურეთა ხარჯით. საძირკველს აკურთხებს საქართველოს ეგზარხოსი ინოკენტი.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **რუსულ კლუბ'ის** საზოგადო კრება 27 მაისისთვის არის დანიშნული, საღამოს 9 საათზე. კრება განიხილავს კლუბის 1912 წლის მოქმედების ანგარიშს და კლუბის წესდების შეცვლის საკითხს.

✦ **სახლის პატრონთა და მდგუ-საზოგადოების** საბჭოსი და გამგეობის კრება დღეს, შუადღის 12 საათზე, მოხდება სამეურნეო საზოგადოების შენობაში.

✦ **კავკასიის სამკურნალო საზოგადოების** წევრთა საერთო კრება 21 მაისს მოხდა. კრებამ აირჩია თანამდებობის პირნი: თავმჯდომარედ—ექიმი მ. ვ. ლუნკევიჩი, მის თანაშემწედ მ. ნ. ვესელოვზოროვი, ბიბლიოთეკის გამგედ—ექიმი ხარაზოვი, მდივნად—ა. ა. მუხარინსკი, მეორე მდივნად—[illegible]. ა. ნოვიცკი და მდივნის კანდიდატად—ქ-ნი ე. პ. პეტროვალოვსკისა. შემდეგ კრებამ განიხილა და დაამტკიცა მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა. შემოსავალი ნავარაუდევია 4,030 მან., ხარჯი—3,730 მან. დასასრულ სამეცნიერო მოხსენანი წაიკითხეს ექიმებმა ა. გ. გურკომ, ა. ა. მონსემ და რ. ს. დავითიანმა.

✦ **ბუნების მეტყველთა და ექიმთა მეცამეტე კრებაზე** მოხსენების წაკითხვის სურვილი მრავალმა განაცხადა. დღემდე 20-დე კაცმა განაცხადა სურვილი ისეთ მოხსენების წაკითხვისა, რომელსაც აზრად ექნება კავკასიის ბუნების შესწავლა და გამორკვევა.

კრების მომწვევმა კომიტეტმა შეადგინა „სამოგზაურო ქარტა კავკასიისა", რომელიც კრების მონაწილეთ დაურიგდებათ. ამავე კომიტეტმა დაამზადა „ტფილისისა და მის მიდამოების გზის მაჩვენებელი".

მოკლე ხანში გამოვა კატალოგი ყველა იმ წიგნებისა, რომელიც კავკასიის შესწავლას ეხება. წიგნები ბუნების-მეტყველთა და ექიმთა კრების მონაწილეთ უფასოდ დაეთმობა.

✦ **ხარფუხის საზოგადო კლუბის** ახლად არჩეულ მამასახლისთა კრება 21 მაისს მოხდა, კრებამ აირჩია პრეზიდიუმი: მამასახლისთა საბჭოს თავმჯდომარედ—დ. მ. დუმბაძე, ხაზინადრად—ა. ს. არისტაკოვი და მდივნად ი. [illegible]. ზაზიგაილოვი. ამავე კრებაზე გადასწყდა, წინადადება მიეცეს ხარფუხში ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრეს, მიაქირაოს მას ქალაქის თვითმმართველობისგან იჯარით აღებულ შენობის მესამე სართული. კლუბის გახსნა მოკლე ხანში განზრახული.

✦ **ქალაქის საბჭოს** შემდეგი კრება 27 მაისისთვის დანიშნეს. საბჭოს განსახილველი აქვს 19 საქმე. ამავ კრებაზე აირჩევს ქალაქის ლომბარდის გამგეს.

სასამართლო

✦ ტფ. სამოსამართლო პალატის ბრალმდებელი ბ-ნი **სილინი**, რომელიც სამსახურის საქმეთა გამო პეტერბურგს იყო წასული, ტფილისს დაბრუნდა.

✦ **რედაქტორები სამართალში.** ამას წინად გაზეთებში აღწერილი იყო ოლღას ქუჩაზე მეეზოვის მოკვლის ამბავი, სადაც, სხვათა შორის, მოყვანილი იყო გვარები იმ პოლიციელებისა, რომელნიც მეეზოვის მკვლელს დაედევნენ და მოკლეს. პოლიციელთა გვარების გამომჟღავნებისათვის ტფ. პოლიცმეისტერმა საადმინისტრაციო წესით სამართალში მისცა რედაქტორები: „კავკაზ"-ისა—პოდპოლკოვნიკი სლივიცკი, „ზაკავკაზსკაია რეჩ"-ისა—დ. მ. დუმბაძე, „ტიფლ. ლისტოკ"-ისა—ა. ი. ქიშმიშევი და „ზაკავკაზიე"-სი—ი. ი. რადიკე.

ქუთაისი.

✦ კათოლიკეთა ეპისკოპოსმა, ქუთაისში ყოფნის დროს, გელათის მონასტერი დაათვალიერა და დიდი კმაყოფილიც დარჩა ამ ისტორიული განძის ნახვით. ეპისკოპოს ადგილობრივ ქართველ კათოლიკეთა დიდი ჯგუფი ახლდა თან. ეპისკოპოსმა სურათი გადაიღო ქართველ კათოლიკეთა და გელათის ბერებთან ერთად.

დღიური

წარსული—მომავალი

სიცოცხლე აწმყო არაა მხოლოდ; იგი მეტ წილად მოგონებაა და კიდევ უფრო მომავალი, ოცნება, მისწრაფება. ჩვენ—გარდასრულნი ვცხოვრობთ უფრო მეტის სიცხოველით, ხმა გარდაცვალებულისა უფრო ძლიერია და სიტყვა უფრო გასაგონი, დასაჯერებელი, სიყვარული უფრო სანატრელი. მშობლები, რომელთა სახელებიც კი არა გვსმენია ხშირად, გვბრძანებლობენ და შეუგნებლად მივყვებით მათ გაქრილს კვალს, ვხედავთ სხვისგან ნახულს, ვგრძნობთ ნაგრძნობს, ვნატრობთ მონატრულს. წარსული, ყოფილი მით უფრო ღრმაა, ფართო და მძლავრი ჩვენში, რამდენად მაღალია ჩვენი არსება და ნაყოფიერია ჩვენი ცხოვრება.

ჯერ არ შობილნი სხეულით—უკვე შობილნი არიან ჩვენს სულში. მომავალნი ჯერ უსახონი უკვე გველერსებიან ბროწეულის ბაგეთი, გულში გვწვდებიან ცეცხლის თვალებით და გვატკბობენ აყვავებულნი დაწვნი მათნი, უსულონი—გვწვავენ მოსწრაფებულის სუნთქვით, უხმონი—გვიგალობებენ ციურს ხმებს და არ მეტყველნი—გვხიბლავენ ლამაზის და გონიერის სიტყვით. გული ჩვენი—გულია მათი, სული ჩვენი—სულია მათი, დროშა აღმართული ჩვენს წინ, დროშა ცისფერი—იმედისა, დროშა თეთრი—სიწმინდისა, დროშა ალისა—ბრძოლის, შეუდრეკელობის, სიმხნისა—დროშაა მომავლების, შვილების, მოსასვლელთა და ლამპარი, რომელიც გზას გვინათებს, მათის ხელითაა ანთებული.

აწმყო მკრთალია, უძლური, სუსტი. ცხოვრება—გარდასულია, ცხოვრება—მომავალია. ჩვენ არა ვცხოვრობთ აწმყოთი, აწმყო არ გვინდა, იგი საძაგელია, მყრალი, უბედური, უშნო. ჩვენი გულისცემა წარსულის და მომავალის შეერთებაა, ჩვენი სისხლის სიმხურვალე—აწმყოდან განსვლაა, ჩვენი ტვინის, ძარღვის, გონების მოძრაობა—მოპოვებაა იმის, რაც არ არის, რაც იყო, რაც იქნება, რაც უნდა იქნეს. ჩვენი წყურვილი ისაა, რომ ამოვიგლიჯოთ გულიდან ნასახიც ლევანდელისა და რაც უფრო სრულია ჩვენი ცხოვრება, მით უფრო მოკლებულია აწმყოობას, ეხლანდელობას, მით უფრო იგი მოგონებაა, ოცნებაა, სურვილი, სურვილი არა მკვდარი, არამედ ცხოველი, მომქმედი, მებრძოლი!

შეიძლება უარყოფა აწმყოსი—რომელიც ჩვენ ვართ, მაგრამ არავის ხორციელს არ ძალუძს უარჰყოს გარდასული და მომავალი, რომელიც ჩვენ არა ვართ. ათი ათასი წელი გავლილისა თავს დაგვცქერის, უთვალავნი წინაპარნი ჩვენთვის შობილნი და გარდაცვლილნი, გვემულნი და ჯვარცმულნი შეუბრალებელ მკვლელებად კარს გვიდგანან და სულგანაბულნი ელოდებიან ჩვენს სიტყვას და საქმეს. მათ მოგვიპოვეს უმშვენიერესი, უმდიდრესი და უსაყვარლესი მამული მთელ დედამიწის გულზე, გასწირეს ამისთვის ყოველივე საქონებელი, არ დაერიდნენ არა სატანჯველს, არა საწამებელს არა მსხვერპლს, სისხლით და ცრემლით მორწყეს მთა და ველი და საკუთარის ძვლებით ააგეს ძეგლები. ხელთ გადმოგვცეს უდიდესი სამკვიდრებელი, რომ არა გატიალებული, არა გაპარტახებული გადავცეთ შვილებს, მომავლებს. ხმალი წინაპრებისა უფრო ბასრია, ვიდრე ხმალი სამოთხის მცველის ანგელოზისა; მსჯავრი მათი უფრო სასტიკია, ვიდრე მსჯავრი ღვთისა. და ვაი იმას, ვისაც ეწვევა რისხვა წარსულის მცველებისა, ვაი შემცოდეს, განდგომილს, უცთომლად გაჰკვეთს მის სხეულს ხმალი მამისა!

ხოლო ქუხილია კივილი ჯერ არშობილთა, არჩასახულთა, მომავალთა. სამკვიდრებელი, რომელიც გადმოგვცეს წინაპრებმა, მათი სამკვიდრებელია. მომავლები მოუთმენლად, მოუსვენრად მოელიან სამკვიდროს, მათ, სწყურიანთ შობა, აღზრდა და ცხოვრება მამულში და ვით სულები თავს დაგვტრიალებენ და შიშით, ვაების განცდით, კანკალით შემოგვცქერიან სახეში: მამული მათი არას განიცდის და დაემკვიდრებიან იქ შვილები, თუ ეულთა, მაწანწალათა, უცხო თესლთა სათარეშო, საბურთავო იქნება მამული მათი? იშვება მომავალი, თუ არც ჩაისახება, ისე გაჰქრება? წაიშლება ყოფილი და აღარ იქნება ყოფადი?..

ისმის ყივილი წარსულისა და მოწოდება მომავალთა. წარსული ჩვენი სულია, მომავალი—ჩვენი სინდისი. აღსდგეს ჩვენი სული და გვამხილოს, გვაფხიზლოს ჩვენმა სინდისმა. ვიცხოვროთ წარსულით, ვიცხოვროთ მომავალისთვის. სამკვიდრებელი, რომელიც მივიღეთ წარსულისაგან, გადავცეთ ყოფადს. ესაა აზრი ჩვენის მუშაობისა და გზა ჩვენის ცხოვრებისა!... **სიტყვა.**

თავად-აზნაურთა საგანგებო კრება

(შემდეგი *)

კრების მესამე დღეს, წინა კრების ოქმების დამტკიცების შემდეგ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე **ნ. ი. არჯევანიძემ** სთხოვა რიგს გარეშე მოლაპარაკეთ, მინდა თავად-აზნაურთა ქონებრივ მდგომარეობის შესახებ გადმოგცეთ ცნობებიო. ორატორს საჭიროდ მიაჩნია მისი ნათქვამი პრესაში არ მოჰყვეს.

კრების ზოგიერთ წევრთა წინადადებით თავმჯდომარემ შესწყვიტა საგანგებო კრება და კერძო თათბირი გამართა. საგანგებო კრების გაგრძელების შემდეგ სიტყვა მიეცა **პ. გედევანიშვილს**. მან ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა, შეეხო უპირველესად ყოვლისა „იმ საფრთხეს, რომლითაც ზოგნი კრებას აშინებდნენ, გაარკვია, რა არის მოსალოდნელი, თუ ხელშეკრულება არ იქნება მიღებული. სასამართლომდის თუ მივა საქმე, იქ არ შეუძლიანთ კონტრაგენტს ძალა დაატანონ. ხელშეკრულობის დარღვევისთვის სასამართლოს შეუძლიან ჯარიმის გადახდევინება. ხელშეკრულებაში შეტანილი არ არის ჯარიმა. ამიტომ რუსეთ-აზიის ბანკს რჩება უფლება ზარალის ანაზღაურება მოითხოვოს. კიდეც რომ გადაჰკიდეს თავად-აზნაურობას ეს ზარალი, იგი არ აღემატება 30—40 ათასს მანათს. შემდეგ ორატორი გადადის იურიდიულ კომისიის მოსაზრებაზე და ამტკიცებს, რწმუნებულობა არ არის კანონიერი, საზოგადო კრების დადგენილებით კომისია უნდა აერჩიათ. მინდობილება კი დეპუტატთა საკრებულომ თავ.-აზნაურობის სამსახურის გარეშე მდგომ პირს მისცა. ასეთი რწმუნებულება მხოლოდ ნოტარიუსის წესით უნდა ყოფილიყო დამტკიცებული. რაც შეეხება ფინანსიურ მხარეს, 6 აპრილის ხელშეკრულობას, იგი ორატორის აზრით, არ უზრუნველ-ჰყოს თავად-აზნაურობას, როგორც კახეთის გზის პატრონს, რადგანაც შესაძლოა დამატებითი აქციების გამოშვება. თუმცა ამტკიცებდნენ, კახეთის რკინის გზა შემოსავლიანიაო, მაგრამ ეს ასე არ არის. ორატორი დიდხანს ლაპარაკობს და ამტკიცებს, რომ ბოლო დროს გზას იმდენი ვალი დაედება, რომ გამოსყიდვის დროს ოქროს მაგივრად ცარიელ ტომრებს მიიღებს. ბოლოს ორატორი თხოულობს ხელშეკრულობა უარჰყონ.

თავ. **მ. ჭავჭავაძე.** ვრცელ სიტყვაში ეხება კახეთის რკინის გზის მთელ ისტორიას და დეპუტატთა საკრებულოს თვალსაზრისს განმარტავს; ბოლოს იგი წინადადებას იძლევა, ხელშეკრულება უეჭველად დამტკიცებულ იქმნას.

თავ. **გ. ამირაჯიბი.** წინააღმდეგია ხელშეკრულებისა და ამბობს: საქმისათვის საჭიროა ფული აქ მყოფმა თავ.-აზნაურებმა ამოიღონ ჯიბიდან და რაც დააკლდება, ის წინამძღოლებმა და დეპუტატებმა დაუმატონო.

თავ. **ი. ბარათაშვილი.** უპასუხებს იმ ორატორებს, რომელთაც მისი სიტყვის წინააღმდეგი აზრი გამოსთქვეს და კვლავ ამტკიცებს, კახეთის რკინის გზა არ იქნება შემოსავლიანი, ამისი საბუთები არ არის. ხელშეკრულობა არ არის მისაღებიო.

ა. ი. ყანჩელი ეკამათება ოპონენტებს და კვლავ ამტკიცებს თავისს წინად გამოთქმულ აზრს, რომ არავითარი საჭიროება არ მოითხოვს ისეთ ხელშეკრულების მიღებას, რომლის შემწეობით თავად-აზნაურობა ძლიერ იზარალებსო.

თავ. **დ. ე. ჩოლოყაშვილი.** დღეს მესამე საღამოა ვუსმენთ ორატორებს და თავს ისე ვგრძნობ, თითქოს იურიდიულ კონგრესზე, ან ეკატერინე ივანეს ასულის გამასამართლებელ სალიტერატურო სასამართლოში ვიყო. ვიმეორებ პირველ თავში კრებას უნდა გამოერკვია საკითხები: საჭირო იყო, რომ ჩვენ საქმის ბატონები ვყოფილიყავით თუ არა? შემოსავლიანია გზა თუ არა? აი სწორედ მაშინ, როდესაც კრება უარჰყოფით უპასუხებდა ამ საკითხზე, მაშინ უნდა განგვეხილა ჩვენ საკითხი იურიდიულის თვალსაზრისით და ყველაფერი ჩაგვედინა, რათა დაგვეხსნა იქიდან ჩვენი თავი. მე იურისტი არ გახლავართ, და არც დილეტანტი ვარ ამ სფერაში; მაგრამ არ შემიძლიან არ აღვნიშნო ზოგიერთ მოწინააღმდეგეთა ორიგინალური მოპყრობა, რომელნიც არ შესცდიან საკითხის შესწავლას, ან და უკეთესი, არ მოსურვებიათ მისი შესწავლა, დღეს კი კამათობენ მას შესახებ. ჩვენ დამნაშავე არა ვარ იმაში, რომ მათ არ შეუსწავლიათ საკითხი, თუმცა მე რამდენჯერმე მოვიწვიე ბევრი მათგანი სასაუბროდ ამ საკითხის გასაცნობად, მიხდებოდა რამდენჯერმე პრესის საშუალებით გამოსვლა და სხვა. და ჩემდა გასაოცრად ვხედავდი, რომ ზოგიერთი დღევანდელი ორატორი პირდაპირ ერიდებოდა აზრთა გაცვლა-გამოცვლას ამ საგნის შესახებ—ყურადღებას არ აქცევდა მას, მიუხედავად იმისა, რომ საკითხი ჩვენ თავს ზევით დომოკლეს ხმალივით ჰკიდია უკვე ხუთი წელიწადი.

ყოველი ოპონენტი თავის სიტყვას იწყებს ან ათავებს იმისი რწმუნებით, რომ უეჭველად სასურველია კახეთის რკინის გზის დამოუკიდებლობა, მაგრამ როდესაც განხორციელების შესახებ უხდებათ გამოთქმა აზრისა, აქ კი ჰგოდებენ და უსაბუთოდ ჰგმობენ მას, რის შესახებაც არაფერი არ იციან. აქ ციფრებით ხელში ვუმტკიცებთ მათ, რომ საქმე უეჭველად შემოსავლიანია, მაგრამ...

პ. გედევანიშვილი. ეს ციფრები ბოქაულების მიერ არის შეკრებილი.

(შემდეგი იქნება)

პატარა ფელეტონი

ახალი სიტყვა

ს. გ—გის.

გიკვირს განა, თუ რად დავდუმდი?! ყური დამიგდე:

მიუვალს მთაში, მიტოვებულ სენაკის კედელს უხსოვარ დროიდან ობლად ეკიდა მტვერ-წაყრილი, ტკბილი ჩანგური... ეკიდა უხმოდ. მგოსანს ელოდა. მიჰქროდა ჟამი. ტომი ტომს სცვლიდა, მოდგმა მოდგმას—ის კი ეკიდა ისევ უხმოდ, დამუნჯებულად.

და აჰა, ერთხელ, შუა დღის ჟამს, ოდეს მწველი მზე ცის ზენიტზე წამოიმართა და მოლიცლიცე ცეცხლის ენა ჩასწვდა მიწის გულს, მოჰკლა აზრი და წარმოშვა ვნება, მაშინ იმ ჩანგმა ხმა გამოსცა, ნაზი, წარმტაცი...

ჰანგი იგი ძახილი იყო ჩემი სულისა!

გახსოვს, განთიადის ხანს, ნამიან ველზე ძილღვიძრად რომ წამოიჭრა მკვირცხლი ტოროლა, მოწყვეტ ეკვეთა მოვერცხლილ ცის მკერდს და ფრთა შეტბორვით, სულთქმაშეწყვეტით სიცოცხლის ჰიმნი წკრიალა მძივად მიმოაფრქვია ნისლში გახვეულს, მძინარე სოფელს?

რას შეჰხაროდა მაშინ იგი?

ვისთვის ჰგალობდა?

ის შენ გიმღეროდა!

ისიც ხომ გახსოვს, დაბინდებისას შემოდგომის რთვილით მოკალულ მთებს რომ ცივი ქარი დაჰზრიალებდა თავს და ფერმიხდილს, დაცვივნულ ფოთლებს ცათამდე აიავებდა, ვით გულქვა მტერი დამარცხებულთა სამკვიდროს?

რას მოსთქვამდა იმ დროს იგი?

რას ზუზუნებდა?

შენს გულცივობას და უგრძნობლობას!

რამ დამადუმა?..

განთიადიდან დაბინდებამდე ხელაპყრობილი გელოდებოდი; აღმოსავლიდან მზის დასავლამდე ხელივით ვრბოდი, შენს კვალს ვეძებდი; ფერხნი დაჰსერა უდაბნოს გზამ და სასამტვერმა. ენა ავუდგი შენს სახოტბოდ უტყვსა და მეტყველს; მძაფრი ზამთარი ვაყვავილე, ვუჩრდილე ზაფხულს...

მაგრამ ამაოდ: განა მიმიხვდი?

მაშინ ავიღე ნაკვერჩხალი, წითლად ელვარე, და ამოვშანთე ამ გულიდან ულირსი გრძნობა; კოცონს მივეც—გიზგიზა კოცონს—შენი ხსოვნა და სიყვარული...

რისთვის დავდუმდი?.

ჟამს ველი, ჟამსა ახლად შობისას. დე, დაიფერფლოს სამსხვერპლო ცეცხლი: ალსა და კომლში იწრთობა სიტყვა, სიტყვა ახალი და ჯერ უთქმელი! **ჭ. უმბაძე.**

მუშათა ცხოვრება

ლოძის 8 სხვა და სხვა საქარხნო დაწესებულებაში გაფიცულია ორი ათასი ფეიქარი, მიზეზი ეკონომიურია.—კიევში სამხრეთ-რუსეთის სამანქანო ქარხანაში მუშები შეეტაკნენ ოსტატს. 800 მუშა გაიფიცა და მოითხოვეს ოსტატის დათხოვნა.

საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა დაატუსაღონ მუშათა კავშირის ყველა წევრი, რომელთაც გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდათ გამამტყუნებელი საბუთები და ხელს უწყობდნენ არეულობას ჯარისკაცთა შორის.

არტელი „ვარიაგი". „შენც წახდი, მეც წამახდინე ქრისტე აღსდგა გიხაროდეს!" სწორედ ზედ გამოჭრილია ეს თქმულება ტფილისის საქონლის სადგურის მუშებზედ. თუმცა ისინი როგორც შეუგნებელი მუშები, შეცდომაში შეიყვანეს მუშებისა და მუშათა საქმის მტრებმა, მაგრამ ცხადია ეს გარემოება სრულებით არ ამართლებს იმათ. როგორც მკითხველებმა იციან, ძველი არტელი „შრომა" 3 მ. 75 კ. იღებდა ათას ფუთზედ რკინის გზის სამმართველოდგან, და „ვარიაგმა" კი აიღო 1 მ. 75 კ. ცხადია ასეთ პირობებში მუშაობა შეუძლებლადა სცნეს „შრომის" წევრებმა, და სამას კაცს ქუჩა ხვდა წილად. მაგრამ უკეთესი დღე არც „ვარიაგის" მუშებს დასდგომიათ, იმათი თვიური ჯამაგირის მაქსიმუმი ოცი მანეთია და მინიუმი 12 მ. ცხადია ასეთი ჯამაგირით ცხოვრება შეუძლებელია. მათ ტანჯვას თუ დაუმატებთ იმასაც, რომ იძულებული ჰხდებიან გამგე ყოველ თვე გამოსცვალონ, რადგანაც მათ მიერ არჩეული არასოდეს არ ეკითხება მათ, მაშინ ნათლად დარწმუნდებით, რა უნუგეშო მდგომარეობაში უნდა იყვნენ ეს მუშები. ამ დღეებში არტელის მეთაურმა მუშების დაუკითხავად მოწყობილი საქმე გაუფუჭეს კახეთის რკინის გზის სამმართველოში. როდესაც „შრომის" წარმომადგენელი საქმის ჩასაბარებლად მოვიდა სამმართველოში, იქ გამოუცხადეს ჩვენ გადავსწყვიტეთ, საქმე მივსცეთ „ვარიაგს", რადგანაც ისინი კეთილ საიმედონი არიან და იაფათაც მუშაობენო, თქვენ კი „გამფიცველები" ხართ, ამასთანავე ფასებიც დიდიაო. როგორც მოსალოდნელი იყო, თვით არტელის წევრებმა ეს არ მოიწონეს. როდესაც საზოგადო კრებას გამგეებმა მოახსენეს, საქმე ამ ფასებში ავიღეთო, მუშების დიდმა ნაწილმა სასტიკად დაჰგმო ეს საქციელი. **ანტონი.**

საჭიროდ. განა თუ ის სიყვარული ხორციელი, რეალური სიყვარული რული და უებრო, რომელიც ამ ნაწარმოებშია გამოხატული, განა თუ ეს სიყვარულის გრძნობა ყოვლმხრივი ვნებათა ღელვის ზღვა და ზე-აღმტაცი, ზე-აღმაფრენი და ამაღლებული იმ დროის ჩვეულებრივი მოვლენა იყო? სრულიადაც არა. რამდენადაც ისტორიული საბუთები ნებას გვაძლევს ამისთანა მსჯელობისას, რუსთაველი თავის გულის ნადებს უფრო გვიხატავს, უფრო თავის იდეალის დასახვას ეტანება.

ზოლა ქადაგებდა: ლიტერატურული ნაწარმოები დოკუმენტი უნდა იყოსო. მაგრამ ეგ რომ ეგრე იყოს მაშინ ლიტერატურულ თხზულებას არავითარი განსხვავება არ ექნება ისტორიის საბუთისაგან. თვით ზოლამ, როგორც დიდი ნიჭით მოსილმა მწერალმა, რომელსაც ამ გვარ შაბლონურ კალაპოტში ვერ შეეძლო მოეთავსებინა თავისი მწერლობა, თვით მან პირველმა დაარღვია მისგანვე აღსრულებული მოძღვრება. მის ხელში უბრალო მოვლენა მთელ სიმბოლოდ იქცევა.

თეორია ტენისა პირობათა, გარემოებათა და ისტორიულ ეპოქის ზედგავლენისა, რომელსაც გადაჭარბებული მნიშვნელობა ეძლეოდა, ეხლა დარღვეულად უნდა ჩაითვალოს, შემდეგ იმისა, რაც ფრიად ნიჭიერ და განსწავლულ კრიტიკოსთა და ფილოსოფოსთა მთელმა წყებამ საფუძვლიანად უარჰყო ეს თეორია (გიუო, ჰენეკენი და სხვ.).

მაგრამ ყოველ ამის შემდეგ არ შეიძლება კაცმა არა სთქვას, რომ გარემოებას, პირობებს, ისტორიულ მომენტს აქვს თავისებური გავლენა ხელოვანის ფსიხოლოგიაზე, ერთგვარ ნიადაგს ამზადებს, მის განწყობილებისათვის, ერთგვარად მიმართავს მის სულიერ მექანიზმს. ყოვლის მწერლის პირადობა ამ გვარად, თუ იმგვარად გარდაქმნის ყოველივე ამ ფაქტორების ზედ-გავლენას, ერთ-ერთ მიმართულებას მისცემს ამ ნიადაგზე შექმნილს მის სულის მიდრეკილებას. შეუძლებელია ეპოქა ამ ნაირის თუ იმნაირის სახით არა სჩანდეს ხელოვანის ქმნილებაში. საქმე მხოლოდ ის არის, რომ ამ გარეგან გავლენას გადაჭარბებული და მთლად ერთიანად მექანიკური მნიშვნელობა არ ეძლეოდეს.

თუ ამ გვარად განვსჯით, ჩვენი მეოცე საუკუნის დასაწყისის ლიტერატურის ატმოსფერა შექმნილია სამი დიადის ისტორიულ-პოლიტიკურის ზედგავლენის ქვეშ: რუსეთ-იაპონიის ომი, რომელმაც გაბიაბრუებულ, ღალატით შეურაცხყოფილ ერის გულში დამარხული შურისძიება ზედა-პირზე ამოატივტივა და ძალზე გააცხოველა და გააფიცხა იგი, დამამშვიდებელი წამალიც მოუპოვა; ხალხის მოძრაობა საუკუნოებით გაჭედილის ბორკილების დასამსხვრევად, ძლევა-მოსილი შებრძოლება დახავსებულ რეჟიმთან, რომელმაც თავბრუდამხვევი პლანები აღუძრა და შთაუნერგა ხალხს გულში, იმის შეურყეველი რწმენა დაუთესა სულში, რომ იგი ყოვლის შემძლებელია, თუ მოისურვებს.

ამ ომის დროებით წაგება, აქედან გამოწვეული სასოწარკვეთილება, სევდა და კაეშანი. ქართველის პოეტისათვის საბედისწერო მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა დიდებულის მოძღვრის ავაზაკურად მოკვლას. ქართველის ერის პირისუფალი, მოამაგე ნიჭით კურთხეული მგოსანი მოჰკლა ყაჩაღთა ბრბომ, რომელმაც სისხლით აღბეჭდა ის უტიფარი ბრძოლა, რომელსაც ეწეოდნენ ჩვენი საეროვნო იდეალების უვიცი მტრები ამ დიდებული ადამიანის წინააღმდეგ, რაკი იგი იყო თვით უფრო ნათლად, უფრო მკაფიოდ გამომსახველი ჩვენის ეროვნული კვნესისა, საეროვნო იმედებისა, საეროვნო იდეალების მადლიანის ხელით აღმნიშვნელი. ბრბო უგუნურთა ვერ გებულობდა რასა შვრებოდა, იქნება ისიც კი ეგონა, რომ საგმირო საეროვნო დიდ საქმეს ასრულებს, ვინაიდან ჭეშმარიტად „არ იცოდნენ რასა იქმოდნენ". ეს ფაქტი მეტად დიდი რამ არის, დიდი ტრაგედიული მოვლენაა და მან წარუხოცელი კვალი დაამჩნია ჩვენ ახალგაზრდა მგოსანთა ლირას, მისი ძღერა უცნაურ სამგლოვიარო ჰანგზედ მომართა, რომელშიაც სასოწარკვეთილებით აღსავსე სევდასთან ერთად გესლიანი გაბრაზება და გაჯავრება მოისმის.

ეს სამი დიდი, ვებერთელა, თითქმის ისტორიაში განუმეორებელი მოვლენა თავისის შედეგებით და თავისის მიმართულებით—უნაყოფოდ ვერ ჩაივლიდა ახალის ჩვენის პოეზიისათვის. ჩვენ ახალგაზრდა მგოსანთა მუზა მეტად ნაზ-გრძნობიერია. და ფაქიზი, მეტად სმენა მახვილია და ახალგაზრდობის სიმშვენიერით შემკული, მისგან შეუმჩნეველი, მისგან ალუბეჭდელი არ დარჩება არც ერთი ზემო-მოყვანილი ფაქტი და მისგან გამოწვეული სულის ვითარება. ჩვენმა ახალმა პოეზიამ და არა თუ პოეზიამ მთელმა ლიტერატურამ არსებითად შეიცვალა კილო ზემოხსენებულ დიად ისტორიულ ფაქტორთა ზედ-გავლენის ქვეშ. შემოეპარა მხიარული კილო, ბედნიერების ღიმილი დაეტყო. ყველამ იგრძნო ყველას რწმენა დაებადა, რომ უბედური ცხოვრების ძარღვი სწყდება, დახავსებული ძველი ისპობა, უძლეველად მიჩნეული მაჯლაჯუნა ერთის წკიპურტის წაკვრით წაიქცა, დაბეჩავებულად დამონებულად მიჩნეული ხალხი ძლევა-მოსილი, ყოვლის შემძლებლად ხდება. ასეთ რწმენას კეთილი ნაყოფი უნდა გამოეღო და ქართული მუზაც სამხიარულო ჰანგებზედ აემღერა.

თუ ჩვენს ძველ-წარსულის საუკუნის დასაწყისის ლიტერატურაში სასოწარკვეთილება იმ ზომამდე მიდიოდა, რომ თვით სანეტარო გრძნობას სიყვარულისას შხამითა და სამსალით ავსებდა (ალ. ჭავჭავაძე) დღეს მგოსანი ამავე გრძნობას სრულიად ნორმალურად განიცდის და ეცდება ამოსწუროს მგრძნობელობის ყოველივე სიტკბო, რომელიც მას ახლავს. თუ ბუნება „გულდახურულთა მეგობრად" მიაჩნდათ ჩვენს რომანტიკოსებს, სადაც იგინი ეძიებდნენ „გულის ვაების დახსნას" დღეს ჩვენი მგოსნები ბუნებასთან გადახლართულნი არიან, იგინი ან „სევდის ბაღში" არიან აღზრდილნი, როგორც შანშიაშვილი, ან „ყვავილთა ტბაში", როგორც გრიშაშვილი. შანშიაშვილის ქნარის ხმა უფრო შეეგუება ჩვენის რომანტიკოსთა პესსიმიზით გაჟღენთილ პოეზიას, მაგრამ მის ნარნარ და ნაზ მუზასაც კი მომხიბლავი და მომჯადოებელი ღიმილის შუქი დასცემს, რაიცა მის სევდას აღარ აძლევს ისეთს მძაფრსა და თავზედ-ხელ აღებულის ელფერს, როგორც ბარათაშვილის ლექსებს. რასაკვირველია, ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ჩვენ პოეზიას თავის დღეში არ შეპარვია რადიკალური უსასოება და უიმედობა, სხვა და სხვა გარემოებისა და მიზეზის წყალობით, (იხ. „ეტიუდები ქართული ლიტერატურის შესახებ") ხოლო კვნესა და ოხვრა მაინც ძლიერი გაისმოდა იქ, მაშინ, როდესაც დღევანდელს ჩვენს პოეზიაში ვაივიშიც უფრო ლბილს, უფრო წყნარს ნოტებზე არის დაწერილი.

(შემდეგი იქნება)

კიტა აბაშიძე.

---

*) იხ. „სახ. გაზ." № 899.

ბალკანეთი და სახელმწიფოები

ხელშეკრულობის გადასინჯვა.

პეტერბურგის სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ სერბია-ბულგარეთი არ გამოაქვეყნებენ მათ შორის არსებულ ხელშეკრულობას, რადგან ამ შემთხვევაში იგი დაჰკარგავდა ძალას და კავშირიც დარღვეულად ჩაითვლებოდა.

სერბიის წინადადება.

პაშიჩი უკანასკნელ ღონისძიებას ხმარობს, მაგრამ არა იმისთვის, რომ იხსნას ბალკანეთის კავშირი დაღუპვისაგან, არამედ ომის თავიდან ასაცილებლად. ამ დღეებში სერბიამ ახალი წინადადება მისცა ბულგარეთს: მოიწვიონ პეტერბურგში მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლების კონფერენცია და იქ შეიმუშავონ დაპყრობილ ადგილების გაყოფის გეგმა. ამ საკითხის გადაწყვეტას, სერბიელების აზრით, ხელს შეუწყობენ საზონოვი, საფრანგეთისა და ინგლისის ელჩები, რომელთაც სერბია დიდად ენდობა.

პეტერბურგის ცდა.

რუსეთის წარმომადგენლებმა სოფიასა და ბელგრადში თავის მთავრობისაგან მიწერილობა მიიღეს, რათა ყოველი ღონისძიება იხმარონ სერბია-ბულგარეთის უთანხმოების მოსასპობად. ორივე წარმომადგენელი ოფიციალურად განუცხადებენ სერბიისა და ბულგარეთის მთავრობას, რომ რუსეთი ცდასა და საშუალებას არ დაზოგავს გამწვავებული მდგომარეობის გასანელებლად. ამასთანავე რუსეთი გადაჭრით აცხადებს, რომ თუ, მიუხედავად მისი რჩევისა, სერბია და ბულგარეთი გონს არ მოვლენ და იარაღს მიმართავენ, რუსეთი ყოველგვარ პასუხისმგებლობას მოიხდის და ღვთის ამარად მიატოვებს მეომრებს.

შუამდგომლობის საკითხი

რუსეთის დიპლომატია კვლავ იმ აზრისაა, რომ სერბია-ბულგარეთ-საბერძნეთის უთანხმოებას მხოლოდ მესამე მხარის შუამდგომლობა უშველის. რუსეთი შემდეგი პირობებით მიიღებს მონაწილეობის არბიტრაჟში:

1) ბულგარეთმა უნდა იწამოს სერბია ბულგარეთის ხელშეკრულობის რამდენიმედ მაინც შეცვლის საჭიროება.

2) ბულგარეთმა, სერბიამ და საბერძნეთმა უნდა დაიწყონ ჯარის სრული დემობლიზაცია.

3) სერბია-ბულგარეთის დავასთან ერთად უნდა გათავდეს ბულგარეთ-საბერძნეთის უთანხმოებაც.

4) რუსეთის გადაწყვეტილება სავალდებულო უნდა იყოს მხარეებისთვის.

რუმინიის განზრახვა.

პეტერბურგიდან იუწყებიან: ბუქარესტის დიპლომატიურ წრეებში ამბობენ, რომ თუ სერბია-ბულგარეთის ომი ატყდა, რუმინია ვერ დარჩება გულგრილად. ამიტომ მოსალოდნელია, რომ რუმინია პირ და პირ ჩაერევა ომში, ხოლო ვის მხარეს იქნება მისი იარაღი, ბულგარეთისა, თუ სერბიისა, არავინ იცის. ამბობენ, რომ იგი ბულგარეთის წინააღმდეგი იქნება, რადგან ჯერ ერთი, რომ რუმინიას ბულგარეთისკენ შეუძლიან გაფართოება და მეორეც ისა, რომ რუმინია ვერ არის სრულიად კმაყოფილი პეტერბურგის კონფერენციის გადაწყვეტილებისა. ყოველ შემთხვევაში რუმინიის ომში ჩარევა იმის მომასწავებელია, რომ ძმათა შორის სისხლის ღვრის ლოკალიზაცია დიდად საძნელო საქმე იქნება.

ჩერნოგორიის პოზიცია.

სერბიის საზოგადოებრივი აზრი გულმოდგინედ ადევნებს თვალს მოკავშირეთა უთანხმოების ზრდას, მაგრამ იმედი აქვს რომ კრიზისი მშვიდობიანად გათავდება. ერთმა გამოჩენილმა დიპლომატმა შემდეგი უთხრა, თურმე, ფრანგის ერთ ჟურნალისტს: ომმა კიდევ უფრო გააძლიერა სერბია-ჩერნოგორიის ნათესაური კავშირი, ასე რომ, მომავალში ყოველთვის სოლიდარულად მომუშავე სერბია-ჩერნოგორია ერთსულოვნადვე იმოქმედებენ სერბიის ნაციონალურ საკითხებში. მართალია ჩერნოგორიას დიდად აღონებს მოკავშირეთა შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება. მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი მხარს დაუჭერს სერბიას იმ შემთხვევაშიც, თუ ომი ასტყდა და თავის ჯარს მიაშველებს მოძმეებს, რადგან ცხოვრების საჭიროება და პოლიტიკური ინტერესი ორივე სამეფოსი ერთი და იგივეა.

თეატრი და ხელოვნება

ან. ჭილაშვილის კონცერტი. როგორც გავიგეთ, „ახალ კლუბს“ შეუძენია რამდენიმე თხუზულება ახალგაზდა კომპოზიტორის ან. ჭილაშვილისა და აპირებს კონცერტის გამართვას. ეს ახალგაზდა მემუსიკე პეტერბურგის კონსერვატორიაში სწავლობდა და ითვლებოდა გამოჩენილ რიმსკი-კორსაკოვის საუკეთესო მოწაფედ. სამწუხაროდ, ყმაწვილს აწყინა ჩრდილოეთის მკაცრმა ჰავამ და ფილტვები დაუზიანა. ამის გამო იგი იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო და ამ ჟამად აბასთუმანში არის საექიმოდ. ამ ჭილაშვილს აქვს უკვე ათამდე კომპოზიცია; სხვათა შორის რამდენიმე აქტი ოპერისა ლერმონტოვის მოთხრობაზე „ბელლა“, სერენადები, აღმოსავლეთის ხასიათის სხვა და სხვა ჰანგი. ეს კომპოზიციები სიმფონიურ ორკესტრს აუსრულებია პეტერბურგს ერთი წლის წინად და გაზეთებმა ქებით მოიხსენიეს ისინი.

ღია ბარათი

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ დაგვიბეჭდოთ ეს ბარათი თქვენს პატივცემულ გაზეთში.

გაზეთ „მერცხალსა“ და „დილაში“ დაიბეჭდა რამდენიმე კორესპონდენცია ბ.ბ. სალომეშვილისა და არგუსისა. ბოლო ხანს ამათ მიემატა „ჩვენს წყაროში“ „თ. გ.“. ჯერ იყო და სათვისტომოს არჩევნების გამო სიმართლეს მოკლებული ცნობა მიაწოდეს მკითხველებს: შესთხზეს, ვითომც სტუდენტთა ერთმა ჯგუფს, დასელთა იდეიურ მოწინააღმდეგეთ წინასწარი საარჩევნო კრება მოეხდინა და ამ კრებაზე გადაეწყვიტა, არჩევნებს პარტიული ხასიათი მივცეთო და მხოლოდ ჩვენი მიმართულების პირნი გავიყვანოთო.

შემდეგ კიევში გამართულს ქართულს საღამოზე შეუწყნარებელი საქციელი ზოგიერთი სტუდენტებისა, რომელთაც ამ ჯგუფთან საერთო არაფერი აქვთ, თავს მოახვიეს, განზრახ ჩირქსა სცხებდნენ და არა საკადრის ცილსა სწამებდნენ. უკანასკნელად ასეთი სამგირო საქმე ჩაიდინა ბ. არგუსმა, რომელმაც ამ ჯგუფის საქმედ მონათლა ქართულს საღამოზე მომხდარი ამბავი.

რადგან ჭორსა და ცილის წამებას ბოლო არ ეღებოდა, მივმართეთ ზემოდ დასახელებულ კორესპონდენტების ამხანაგებს და ვთხოვეთ, რაკი გაზეთის საშუალებით ვერ მოესწრება, გვიშუამდგომლეთ თქვენი ამხანაგების-კორესპონდენტების წინაშე სამედიატორო სასამართლოში გამოგვყვნენო. ამასთანავე წარვადგინეთ მუხლებად დაყოფილი ბრალდება, რომელიც უნდა დაემტკიცებინათ ჩვენთვის.

ჩვენდა მოულოდნელად პასუხად მივიღეთ, რომ „პრინციპიალურად შესაძლოდ არა ვსცნობთ დავაკმაყოფილოთ თქვენი თხოვნა, თქვენსა და კორესპონდენტთა შორის შუამდგომლობის თაობაზეო“. რადგანაც სხვა გზა აღარ არის, ამიტომ გაზეთის საშუალებით წინადადებას ვაძლევთ ბ. ბ. სალომეშვილს, არგუსს „თ. გ.“ გამოგვყვნენ სამედიატორო სამართალში და დაგვიმტკიცონ კორესპონდენციებში მოხსენებული ბრალდება.

სამედ. სამართალი უნდა მოხერხდეს უსათუოდ ქ. კიევში, რადგან სხვაგან ყველა დაინტერესებული პირი ვერსად შეგროვდება. სამ. სასამართლოს განაჩენი უნდა გამოცხადდეს ქართულს გაზეთებში. როდესაც თქვენს თანხმობას მივიღებთ, დავასახელებთ ჩვენს მედიატორებს.

ამხანაგების მინდობილობით

გ. მელითაური და კ. კობახიძე.

P. S. ქართულს გაზეთებს უმორჩილესად ვსთხოვთ ეს ჩვენი წერილი გადაბეჭდონ.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

21 მაისი.

უცხოეთი.

ლონდონი. სამშვიდობო კონფერენციის კრებაზე ოქმის შედგენის წესი განიხილეს. ოქმის შედგენა კომისიას მიენდო, რომელსაც სხდომა ოთხშაბათს ექმნება. კონფერენცია შემდეგ ხუთშაბათს შეიკრიბება.

ათინა. ჯავშნიანი კრეისერი „ავეროვი“ და კონტრ-მინონოსეცი „პანტერა“ სალონიკში მოვიდნენ. მცხოვრებთ ადმირალ კუნდირიოტის და მეზღვაურებს საზეიმო შეხვედრა გაუმართეს

ათინის სააგენტო უარყოფს ხმებს, ვითომ საბერძნეთ-ოსმალეთის შეთანხმება მომხდარიყოს.

აგრეთვე სიმართლეს მოკლებულია ბულგარეთის სააგენტოს ცნობა, ვითომ აჯანყება ყოფილიყოს პირველსა და მეშვიდე პოლკებში მეორე დივიზიისა: საბერძნეთის ჯარში დისციპლინა არ დარღვეულა.

ბელგრადი. ოფიციალურ ცნობამ ცარიბროდში პაშიჩისა და გეშოვის შეხვედრისამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. იმედი აქვთ, რომ მინისტრების ყრილობა მოახერხებს სადავო საკითხების გადაწყვეტას.

ბუქარესტი. პრესსას ბალკანეთზე მდგომარეობა სერიოზულად მიაჩნია. საზოგადოდ რუმინია სერბიის მომხრეა. მინისტრთა საბჭომ დაადასტურა სამხედრო მინისტრის კანონპროექტი თოფების ყიდვის შესახებ. საჭირო კრედიტს ივნისში გასცემენ. მოიწონეს კონტრაქტი, ნეაპოლში დადებული, ოთხი კონტრ-მინონოსეცის ყიდვის შესახებ.

რუსეთი.

პეტერბურგი. ახალ რკინის გზების აშენებელ კომისიამ სურვილი გამოსთქვა ალიატ-ასტარის გზის აშენებისა, როგორც სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე, რომელიც დაახლოვებს სპარსეთის ბაზარს და სათავე იქმნება მომავალ სპარსეთით მიმავალ გზისა. ამას გარდა საჭიროდ იქმნა ცნობილი აშენდეს ამ შტოდან გზა პადარამდის ან ქურდამირამდის, როგორც საკოლონიზაციო ლიანდაგი, სასურველი ამიერ კავკასიის ადგილობრივ ინტერესებისთვის.

ცარიცინი. უკანასკნელ კვირის ნიაღვრების გამო ბაზრაში აუარებელი წვრილი საქონელი დაიღუპა.

შემოწირულება

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებას 26 მაისის სეირნობისათვის შემოსწირეს: (ელენე მატარაძის ხელით): 1) მკერვალიშვილმა 4 ცალი სარდინკა, 2) ი. ბერმნიშვილმა სამი წყვილი ჩუსტი, 3) [illegible] 1 გირვანქა კანფეტი, 25 კაპ. ფულად, 4) ბაღდოევმა 2 ც. დღიური, 5) ნ. სვიმონოვმა 2 კონსერვი, 6) გ. მაჭავარიანმა 2 ბოთლი ღვინო, 7) ხალიფოვმა 2 ბოთლი ღვინო, 8) ივანე სვანიძემ 1 ც. სიგილეტე, 9) ერ. აკოფიანმა 2 ც. საფერფლე, 10) ლ. ალიმბარაშვილმა 1 პერანგი, 11) ძეგველოვმა 14 ცალი კონსერვი და სარდინკები, 12) ობონ-მარშენ 6 ც. საყელო ქაღალდისა, 1 წყ. ხელთათმანი, 2 გალსტუკი, 1 ბანტი, 3 ბროშკა, 2 შუშა დუხი, 2 დუჟინი ღილი, 13) ახვლედიანმა 12 სხვა და სხვა დუხი, 14) ტაროსაგან 1 პერანგი, 2 ქანდაკება, 15) მიასნიკოვმა 5 ყუთი გილზი, 16) გორნინგმა 2 ტერმომეტრი, 17) ძმ. სეილანოვებმა 1 მან. ფულად, 18) მიულმანმა 4 ცალი შუშების დასადგამი, 19) გენემ 8 კოლოფი კამფეტი, 20) ინასარიძემ 1 ყუთი კანფეტი, 21) ავალიანმა 1 წყ. ქალის მესტი, 22) კობახიძემ 4 ცალი ჭურჭელი სხვა და სხვა, 23) დანდუროვმა 4 ცალი ჭურჭელი, 24) ზურაბოვმა 1 დუჟინი საპონი, 25) გუკასოვმა 1 გალსტუკი, 26) უსეინოღლიმ 1 ყუთი კამფეტი, 27) № 1 ყუთი კამფეტი, 28) ალი-ოღლიმ 1 ფარანი კამფეტით, 29) მჭედლოვმა 6 ღია ბარათი, 30) ულუხანოვმა 3 ბოთლი ღვინო, 31) ძმ. ტარნოპოლებმა 6 ცალი შპალიერი, 32) მაიზელსონმა 3 ბრელოკი ვერცხლისა, 1 ბროშკა, 1 ვერცხლის კარანდაში, 1 ჯაჭვი.

წერილი რედ. მიმართ

მ. ხ., ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ პატივცემულ „სახალხო გაზეთის“ საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადო ბაქოს სახაზინო პალატის მოხელეს ბ-ნ ი. კაჭახიძეს იმ დიდ შრომისათვის, რომელიც მან ქართულ სკოლასთან არსებულ წიგნთ-საცავის მოწესრიგებას მოანდომა.

ბაქოს ქართული სკოლის გამგე

მ. კაკაბაძე.

რედაქტორ-გამომცემელი

ა ჭუმბაძე.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„606“ და „914“
11—12 ს. შ ე შ ხ ა პ უ ნ ე ბ ა
კონსულტატიურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის-დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
1004

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. ღარ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, სახ. გაბაშვილისა.

თელავში
კახეთის რკინის გზის ახლო იყიდება: **ვენახები, სასახლე და სახნავი მიწები და გაუტეხავი ტყე.**
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ **ფოტოგრაფს ივ. ზ. ბარკალაიას** ქ. თელავში.
1216

კ ბ ი ლ ი ს
ექიმი ა. გ. ხოლოდაშვილი
იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ЯПОНСКАЯ
СИРЕНЬ
ДУХИ
МЫЛО
О-ДЕ-КОЛОНЪ
ПУДРА
Т-ВА ПРОВИЗОРА
А.М.ОСТРОУМОВА
1122
Метцль 148198.

იყიდება
ტრაქტირი,
პატრონის შემთხვევით ქალაქიდან წასვლის გამო. შეიძლება **იჯარით გაცემაც.** დაწვრილებით ცნობები მოიკითხეთ სასტუმრო „კავკაზ“-ის შვეიცარ **აფინოვთან.** 296



პარიჟის უკანასკნელი მოდით ✦ ახალი ფასონები ✦
კორსეტების
ვენის საკორსეტო ქარხნის სახელოსნოში
მ. ა. [illegible]
ტფილისი, [illegible] და სოლოლაკის ქ. 1168.

კ ა ხ ე თ ი ს რ კ ი ნ ი ს გ ზ ა
ტფილისიდან 40 ვერსის მოშორებით, სადგურ საგარეჯოს მახლობლად, სრულიად საღსა და არა ციებიან ადგილებში, ისყიდება საავარაკო მიწა ნაჭრებად. 255 დესეტინიდან განსაზღვრულია 40 დესეტინა საავარაკოდ. ნაძვნარი, მშვენიერი ტყე, წყაროები, იშვიათი საცქერი იორის ხეობაზე და ცივ გომბორის მთაგრეხილები. ნიადაგი 4½ ფუტ. არის მაღლა ზღვის ზედა პირზე. ფასი თითო კვადრ. საჟ. 20 კაპეიკიდან. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად. მიჰმართეთ: გაზ. **„კავკაზის“** რედაქციაში ბ. **რადიკევიჩს** დილის 10—ნაშუადღ. 3 საათ. და ბ. **გულისაშვილს** 6—საღ. 8 საათ. წერილობითი ცნობები შემდეგი ადრესით: სადგ. სართიჭალა, სოფ. იაგარეჯო, **იერემია გულისაშვილს.**
198

სავაჭრო სკოლა უფლებით და საბუჰალტერო კურსები
საზაფხულო მეცადინეობით
ივანე ზაქარიას ძის ტერ-სტეფანოვისა.
მისაღები გამოცდები 30, 31 მაისს.
პირველი თუმანოვის ქუჩა, საკუთ. სახ. № 13 (დილის 9 საათიდან, საღამოს 5 საათამდე).
მიხეილის პროსპ. № 53 (საღამოს 6 ს.—8 საათამდე). 280

ЧАСЫ
СЕКРЕТЪ
АНКЕРЪ
НА 15 КАМ.

ოქროს საათი ხრონომეტრი 56 პროცით.
200 მანეთიან ოქროს საათ ს ნაცვლად გირჩევთ შეიძინოთ **ხრონომეტრი** მხოლოდ 4 მ. 70 კ., რომელიც თავის ფორმით და სილამაზით არ ჩამოუვარდება ოქროს საათს, რადგანაც საუკეთესო სპეციალისტი ძნელად გაარჩევს მას ნამდვილ ოქროსაგან. საათს მექანიზმი ფრიად პტყელია, ვერცხლის მანეთი ნის სისქისა; გაკეთებულია ნამდვილ ამერიკულ ოქროთი; იგი არა ჰკარგავს თავის პირველყოფილ სახეს, ორგინალური სურათებით. (ნახეთ სურათ.) საათი **ხრონომეტრი** კაცისა ან ქალისა, გაჭირჩევა თვისი სისწორით, ნამდ. ან ყრნ. 40 საათში ერთხელ იმართება 15 ქვიანია. მსურს რა გავავრცელო ჩემი ფირმა ერთის სახით ყოველ საათთან ერთად უფასოდ ვგზავნი 20 ძვირფას ნივთს. 1. ნამდვილი ამერიკულ ოქროს ძეწკვი, 2. შინა კინემ. საინტერესო ქალების სახეებით, 3. საათის ზამშის ბუდე 4. საათის ქურდებისაგან გასაფრთხილებელი, 5—8. ჯიბის ტყავის ბუდე გზაში საჭირო ნივთებ-სათვის, თან ოთხი საჭირო ნივთი იქნება, 9. საზღვარგარეთ ნაკეთები პორტმანი 7 განყოფილებით, 10. შემკვეთელის გვარის, სახელის და მამის ახელის ბეჭედი. 11. ბეჭდისთვის სალებავი ფლაკონით, 12 ბეჭედი ნამდვილ ამერიკულ **დუბლეს**, 13; პარიზული პლასტოგრამა, რომელიც დანადვილებით აჩვენებს ბუნებრივ ყოველნაირ აპარატს, 14—19 ექვსი საინტერესო სურათი მასთან ერთად, 20. თეატრის ბინოკლი 4 ახრომ. **ჩვეულებრივი** ზომის მინით, რომელიც ორეულ საგნებს ფრიად ახლო აჩვენებს. მხოლოდ 4 მ. 70 კ., ორი საათი 9 მ. 40 კ., ექვსი ჟუჟუ საათები 5 მან. 70 კა. ორი—11 მ. 20 კ., პასუხს ექვსი წლით ვაგებ; ვგზავნი ფასდადებით უბეოდ. გაგზავნა 40 კ., ციმბირში 75 კ., მისამართი: საათების საწყობი И. Штрумфельд, Варшава, Электоральная 11 отд. 54. Метцль 2 663 1135.

სამკურნალო გოგირდის აბანო „ფ ა ნ ტ ა ზ ი ა“,
ვორონცოვის ქ. ტრამვაის ლიანდაგზე
ახლად შეკეთებული
მოწყობილება ყოველ მხრივ და წესიერად.
კომფორტი, ელექტრონული განათება. გვაქვს სხვა და სხვა ფასიანი ნომრები და აგრეთვე საზოგადო სათავად-აზნაურო განყოფილება—30 კ.—ხოლო მამაკაცებისა—15 კ. ყველა ნომრებსა და განყოფილებაში ორ-ორი მილია 29⁰/₀ და 35⁰/₀, ცხელი და ცივი, გოგირდის სიმრავლე საუკეთესო საშუალებაა ქარებისა, ბუასილისა, სისხლნაკლებულობისა და სხვა ძველებულ სნეულებათა. გვაქვს მოწმობა ტფ. სამხ. ლაბორ. ანალიზისა. გვყავს გამოცდილი მექისე ქალები და კაცები. მსურველთ შეუძლიანთ აბონიმენტები შეიძინონ, ტელეფონი № 115.
1674 **კნ. სუმბათოვებისა.**

მუდამ დღე მოგვდის
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძებველოვები.
ახალ-ახალი
იმზანი,
მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.
ახალი მსხვილ-მარცვლოვანი
ხიზილალა |ქიტკა|
აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მარტის დღეში, იანი, ჭიპა, ზურგიელები, სხვა ყოველ-ნაირი თ ე ვ ზ ე უ ლ ო ბ ა და
კონსერვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი ახლად დასტამბული წიგნები:
ვეფხის-ტყაოსანი ინგლისურად ნათ. ვორდროპის მიერ ფ. 6—კ.
გრიშაშვილი ბროლის ღიმილი 10 „
გაბაშვილი ე. მაგდანას ლურჯა 5 „
დავით ეპისკოპოსის სიტყვანი I 10 „
„ „ იგივე II 15 „
ერისთავი დიმ. ნაწ.დაუს. რომანი. 20 „
ვართაგავა ივ. ევდოშვ. პოეზია 15 „
თაფლი და მისი სამკურნალო მნიშვნელობა, წულაძის თარგმ. 5 „
ლომოური ნ. ალი . . . . 10 „
„ „ ქაჯანა . . . . 5 „
მღვიმელი. ცვარი . . . . 20 „
ნინოშვილი ე. ორი პუბ. წერილი 5 „
„ „ არშიყნი . . . 5 „
„ „ განკარგულება . 5 „
„ „ მოსე მწერალი . 10 „
ნინოშვილის ბიოგრაფია, დასაფლავება და კრიტიკული გარჩევა, ი. გომართლისა . . 15 „
Ниношвили Игнатій . . . . 5 „
ნიკოლაძე ნ. ჩემს პოლიტიკაზე 10 „
რამიშვილი ტრ. ცხოვრების ნაწყვეტი დრამა 1 მოქმ. . . 15 „
ბრიე. დასჯილნი პიეს. სამ მოქ. 40 „
ყიფშიძე ალ. კანონი გლეხთა და სოფლელთა და ბატონთა და მემამულეთა შორის დროებით ვალდებულ დ დამოკიდებულ ურთიერთობის მოსპობისა, ნადელის დახსნითა და შესყიდვით საკუთრებად, მთავრობის დახმარებით, ტფილისისა, ქუთაისისა, ერევნისა, ელისავეტოპოლისა და ბაქოს გუბერნიებში и Временная инструкція должноснымъ лицамъ и учрежденіямъ по приведенію въ исполненіе закона 20 декабря 191 года . . . . . 30 „
ჭყონია ილიას ნაწერები . . 1 მან.
ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217

ახალი სითხე „ქ ა კ მ ე ნ ი“
არის ერთად-ერთი **საშუალება** ვენახებისა, ბაღებისა და სხვა მცენარეთა **სოკოს ავადმყოფობის მორჩენისა და მავნე მწერთაგან დაცვისა.**
მიღებული აქვს საპატიო დიპლომი ქუთაისს 1909 წლის ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. ნარდი და წვრილი ვაჭრობა
„ი. გოკიელოვებისა და შვილების“
სავაჭრო სახლში, ქ. ქუთაისში.
განმარტება „ქაკმენის“ სითხის სარგებლობის შესახებ მსურველს შეუძლიან მიიღოს რუსეთის ერთად-ერთ წარმომადგენელთან
კანტორა „ძლო-ეგურულში“, ქუთაისში. 301



მიტროფანე ლაღიძის და ამხ.
ფრიად სასიამოვნო და ჯანმრთელობისათვის მარგებელი სასმელი წყალი
საამური გემოსი და სურნელებისა
ხილეული, სამკურნალო და მინერალური
წ ყ ა ლ ი
მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად განწმენდილ მასალებისაგან, გამოხდილ და ნადუღი წყალით
გამოცდილ სპეციალისტის ხელმძღვანელობით.
რადგანაც ჩვენი ქარხნის წყლის ნაცვლად ხშირად **დაბალ ღირსების წყალს აწვდიან** პატივცემულ საზოგადოებას და აგრეთვე გავრცელებულია ჩვენი ეტიკეტის მიმსგავსებანი, უმორჩილესად ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას, **ყურადღება მიაქციოს ბოთლებზე ჩვენს ეტიკეტს ქარხნის ნიშნით და აგრეთვე თავსაცობს ზედ-წარწერით:**
„М. ЛАГИДЗЕ“.
ქარხნები: ტფილისში, გოლოვ. პროსპ., № 6, ტელეფონი № 411;
ქუთაისში, პუშკინის ქუჩა, № 5, ტელეფონი № 151.
1214

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.